პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 132 (9908) | შაბათი, 5 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში. — საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა საბჭოთა საზოგადო მოღვაწეს ნ. ვ. პოპოვას (1-ლი გვერდი).

უნგრეთიდან სსრ კავშირში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. — კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო. — დეპუტატების ფ. დ. დუმბაძის, გ. ნ. ჯიბლაძის, გ. ა. რობაქიძის და ე. ე. ბურჭულაძის სიტყვები (მე-2 გვერდი).

XXV წელი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნიდან. — მტს-ი გადამწყვეტი ძალაა საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. — ს. ვაჩეიშვილი. — მთელი სიმძლავრით გამოვიყენოთ ტექნიკა მინდვრებში. — დ. [illegible]. — რუსი მეგობრების მაგალითისამებრ. ვ. გურგენიძე. — უძველესი მტს-ის ადამიანები. ლაპარაკობენ მექანიზატორები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# მტს-ების მუშაკთა გადაუდებელი ამოცანა

ოცდახუთი წლის წინათ შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო დადგენილება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოწყობის შესახებ. ამ დოკუმენტით ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში, საკოლმეურნეო წყობილების შექმნისა და განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიის სახელოვანი ბრძოლის ისტორიაში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი გენიალური ლენინი ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ჩვენს ქვეყანას ექნებოდა ასი ათასი ტრაქტორი. ჯერ კიდევ 1919 წელს ვ. ი. ლენინი სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების მნიშვნელობის შესახებ ამბობდა: „ჩვენ რომ შეგვეძლოს მივცეთ ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, მოვამარაგოთ ისინი ბენზინით, მოვამარაგოთ ისინი მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), საშუალო გლეხი იტყოდა: „მე კომუნიის (ე. ი. კომუნიზმის) მომხრე ვარო".

ასრულდა დიდი ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი მზრუნველობით ახლა საბჭოთა კავშირის საკოლმეურნეო სოფელში არის მილიონზე მეტი ტრაქტორი. ჩვენი დიადი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ემყარება მძლავრ ინდუსტრიულ-ტექნიკურ ბაზას და წარმოადგენს ყველაზე მსხვილ და მექანიზებულ სოფლის მეურნეობას მსოფლიოში.

განვლილ მანძილზე მტს-ების როლი კიდევ უფრო ამაღლდა. ახლანდელ პირობებში მტს-ები წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში, უმნიშვნელოვანეს დასაყრდენ პუნქტებს სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული საყოველთაო-სახალხო ამოცანის — უახლოეს ორ-სამ წელიწადში სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მიღწევის ამოცანის განხორციელება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელების საფუძველზე მტს-ებში შეიქმნა მექანიზატორთა მუდმივი კვალიფიციური კადრები. სექტემბრის პლენუმის შემდეგ საბჭოთა კავშირის მტს-ებში გაიგზავნა 21 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი, 104 ათასი აგრონომი, ზოოტექნიკოსი და სხვა სპეციალისტი, რომლებმაც მომსახურება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს.

საბჭოთა სახელმწიფოს განუწყვეტელი დახმარებით საქართველოს მტს-ების განკარგულებაშია შესანიშნავი ტექნიკა. თუ 1929 წელს საქართველოში სამი მტს-ი იყო, ახლა არის 101 მტს-ი და 3 მეცხოველეობის სამანქანო სადგური, რომლებიც შეიარაღებულია თანამედროვე ტექნიკით. საკმარისია ითქვას, რომ წელს პურეულის მოსავლის აღებაზე იმუშავებს 1.200-ზე მეტი კომბაინი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომლები სიამოვნებით წარმოთქვამენ საუკეთესო მექანიზატორთა სახელებს, რომლებიც მაღალ შედეგებს აღწევენ რთული მანქანების გამოყენებაში, მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. მათ რიცხვს ეკუთვნიან: მიხეილ ლაზარიაშვილი, სოლომონ რამაზაშვილი, ელენე ნატროშვილი, იოსებ ტიტვინიძე, გიორგი ნოზაძე, ილია ხომუტოვი, ვალერიან ხურცია და ბევრი სხვა.

სოფლად ახალი ძალების ჩასვლამ ხელი შეუწყო ბევრი მტს-ის მუშაობის აღმავლობას. სადაც ახალი ტექნიკის გამოყენებას სერიოზულად ეკიდებიან და კადრებს უნარიანად იყენებენ, იქ კარგ შედეგებსაც აღწევენ. ავიღოთ, მაგალითად, ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ი. შარშან აქ თვითეული ტრაქტორის გამომუშავება 475,4 ჰექტარს შეადგენდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 447 ჰექტარისა. სატრაქტორო სამუშაოთა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა მტს-მა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ასეთი მაგალითი ბევრია. მოწინავე მტს-ებისა და მექანიზატორების გამოცდილება მოწმობს, რომ მტს-ებს აურაცხელი რეზერვები მოეპოვებათ. სამწუხაროდ, ამ რეზერვებსა და შესაძლებლობებს მთელ რიგ მტს-ებში ჯერ კიდევ ცუდად იყენებენ, ხშირია ტრაქტორების მოცდენა, მანქანების დაბალი გამომუშავება, ლიკვიდირებული არ არის წუნი მუშაობაში. ამბროლაურის, მანგლისის, ზნაურისა და მთელი რიგი სხვა მტს-ები უშვებენ აგროტექნიკის უხეშ დარღვევებს, ხოლო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ამ მდგომარეობას რატომღაც ურიგდებიან.

ზოგიერთ მტს-ში გამოიჩინეს მოსავლიანობის გადიდების ისეთი პროგრესული ღონისძიების შეუფასებლობა, როგორიც არის სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი თესვა. ხაშურის მტს-მა ჩაშალა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის დავალება, ამ წესით სიმინდი მხოლოდ 65 ჰექტარზე დათესა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 400 ჰექტარისა. კასპის, სტალინირისა და ხობის მტს-ებში პირველხარისხოვანი მანქანები სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული, რის გამო ისინი სუსტ საწარმოო დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მტს-ების ხელმძღვანელთა შორის ცოტა როდია ისეთები, რომლებსაც აინტერესებთ არა შრომის საბოლოო შედეგი, არამედ ჰექტარების რაოდენობა რბილ ხვნაზე გადაყვანით, მიუხედავად იმისა, თუ რა გავლენას ახდენს ეს ხვნა მოსავალზე. დროა შევიგნოთ, რომ მტს-ი საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორია. მისი მუშაობის მთავარი საზომია მოსავლიანობისა და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო დავალებათა შესრულება. ამიტომ სრულიად შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, როცა თეთრი წყაროს, მანგლისის, რუისის, ქარელის, სამთავისის მტს-ები სუსტად ეხმარებიან კოლმეურნეობებს მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციასა და მოწყობილობის მონტაჟში. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას მეცხოველეობის ფერმებში. ცუდად არის დაყენებული კოლმეურნეობათა მომარაგება მეცხოველეობის ფერმებისათვის საჭირო მოწყობილობითა და საშენი მასალებით. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს მუშაობა ამ მიმართულებით და ქმედითი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს მეცხოველეობის განვითარების დარგში.

ამასთან ერთად საქართველოს მტს-ებს ჯერ კიდევ ბევრი აქტუალური საკითხი აქვთ გადასაჭრელი. ეს არის მემინდვრეობაში კომპლექსური მექანიზაციის, სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვისა და რგვის ფართო მასშტაბით დანერგვა, სუბტროპიკულ მეურნეობაში მექანიზაციის დონის გადაჭრით ამაღლება და უწინარეს ყოვლისა ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის საკითხის სასწრაფოდ მოგვარება.

ახლა მტს-ების მუშაკთა უპირველესი ამოცანაა უდანაკარგოდ აიღონ თავის უხვი მოსავალი, დროულად დაასილოსონ საკვები და ამით გაადიდონ თავიანთი წვლილი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში. ისინი მოწოდებული არიან საუკეთესოდ მოაწყონ ნათესების მექანიზებული დამუშავება.

მალე პურეულის მკა გაჩაღდება. მტს-ების მუშაკთა გადაუდებელი საქმეა მომზადებული შეხვდნენ ალოობას და სრული სიმძლავრით გამოიყენონ კომბაინები, სალეწები და სხვა მანქანები მოსავლის აღების, პურის დამზადების პერიოდში.

მტს-ების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებაში დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ პარტიის სოფლის რაიონულ კომიტეტებს და უწინარეს ყოვლისა ინსტრუქტორთა ჯგუფებს და რაიკომების მდივნებს მტს-ების ზონებში. ტექნიკის უკეთ გამოყენების, მტს-ებში შრომის ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი საკითხები სოფლად მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრში უნდა იყოს.

## უნგრეთიდან სსრ კავშირში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

[illegible]

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

# საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა საბჭოთა საზოგადო მოღვაწეს ნ. ვ. პოპოვას

ამა წლის 3 ივნისს კრემლის სვერდლოვის დარბაზში საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლის თანდასწრებით „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოპოვას.

ლაურეატის მისასალმებლად მოვიდნენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა და საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრები, პროფკავშირების წარმომადგენლები და დედაქალაქის ქალთა აქტივი. დარბაზში იყვნენ აგრეთვე ჩინეთის, ინდოეთის, ბირმის, კორეის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ტაილანდის, კანადისა და ცეილონის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ამასწინანდელ ბერლინის სესიაში და რომლებიც ახლა სტუმრად არიან სსრ კავშირში. დამსწრეთა შორის იყო ფრანგ ქალთა დელეგაცია, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის მოწვევით.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დარბაზში შემოსულ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატს ნ. ვ. პოპოვას, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარეს ეჟენი კოტონს, საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარეს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინს, მშვიდობის დაცვის ჩინეთის კომიტეტის თავმჯდომარეს გო მო-ჟოს, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. ს. ტიხონოვს.

მიმართავს რა უცხოელ სტუმრებს, აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი მათი სახით მიესალმება აზიის, ევროპისა და ამერიკის ხალხთა წარმომადგენლებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის შენარჩუნებისათვის. მას შემდეგ, რაც გამოაქვეყნა კომიტეტის 1953 წლის 12 დეკემბრის დადგენილება ნ. ვ. პოპოვასათვის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭების შესახებ, აკადემიკოსმა სკობელცინმა მოკლე სიტყვით დაახასიათა ლაურეატის დამსახურება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმეში. დამსწრეთა მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მან ნ. ვ. პოპოვას გადასცა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის დიპლომი და ოქროს მედალი.

ლაურეატს გულთბილად მიესალმნენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი კ. ს. კუზნეცოვა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ტ. მ. ზუევა, კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" უხუცესი მუშა ა. პ. ჟაროვა.

დარბაზში მყოფი ჩინეთის დელეგაციის სახელით გამოვიდა ქალთა სრულიად ჩინეთის ფედერაციის წარმომადგენელი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი ლუ ცუეი. იგი სალამს უძღვნის საბჭოთა ქალებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა სახელით. „ჩვენ, ჩინელი ქალები, — თქვა მან, — ამჟამად მთელ ჩინელ ხალხთან ერთად ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და დიდი ბელადის თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით მივდივართ წინ, სოციალიზმისაკენ, საბჭოთა კავშირის ხალხის მიერ გავლილი გზით. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ქალი საბოლოოდ განთავისუფლდება მხოლოდ სოციალიზმის დროს და ჩვენს შვილებს შეუძლიათ იცხოვრონ შინაარსიანი და მაღალკულტურული ცხოვრებით. ამიტომ მთელ ჩვენს ძალღონეს ვახმართ ჩვენს ქვეყანაში დიდი სოციალისტური სახელმწიფოს აშენებისათვის ბრძოლას.

ჩვენ სულით და გულით ვუძღვნით მადლობას დიდ საბჭოთა ხალხს მისი ყოველმხრივი და უანგარო დახმარებისათვის, რაც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების გადამწყვეტი ფაქტორია. ჩვენ გვინდა, ამბობს დასასრულ ლუ ცუეი, — ვისწავლოთ თქვენგან და მუდამ თქვენთან ერთად ვიყოთ".

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ ეჟენი კოტონმა. „მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია, რომელსაც დღეს ნინო პოპოვას ვაძლევთ, — ამბობს ქ-ნი კოტონი, — სიამაყითა და სიხარულით ავსებს არა მარტო საბჭოთა ქალების გულს, არამედ მთელი მსოფლიოს ქალების გულსაც, რომლებიც მშვიდობის დიად საქმეს ემსახურებიან.

...ყველაზე ძვირფასი სიკეთე ქალისა და დედის გულისათვის, სიკეთე, რომელზეც დამოკიდებულია ყოველივე დანარჩენი, — ეს მშვიდობაა. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია ამაყობს იმით, რომ ამ უკანასკნელ წლებში მან განახორციელა მთელი რიგი წარმატებითი ღონისძიებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში. მაგალითად, 1951 წელს მან კორეაში გაგზავნა დელეგაცია 17 ქვეყნის წარმომადგენელი 21 ქალის შემადგენლობით სამხედრო დანაშაულთა გამოსაძიებლად. ამხილა რა მთელი მსოფლიოს წინაშე კორეის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ჩადენილი დანაშაულობანი, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ ამით ხელი შეუწყო იმას, რომ გაეძლიერებინა ხალხთა მასების აღშფოთება და დაეჩქარებინა ომის დამთავრება კორეაში.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია დიდად ამაყობს აგრეთვე იმით, რომ მან ინტელიგენციის მოძრაობასთან ერთად, რომელიც ვროცლავის კონგრესზე წარმოიშვა, მონაწილეობა მიიღო მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის შექმნაში, რომელზეც მთელი მსოფლიოს ხალხები დიდ იმედს ამყარებენ. რამდენიმე სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" უკვე მიიღო ჯილდოდ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ მისი მეცადინეობისათვის მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ წელს ეს მაღალი ჯილდო მიეკუთვნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ორ ვიცე-თავმჯდომარეს — ნინო პოპოვასა და ანდრეა ანდრეენს, აგრეთვე ჩვენი მოძრაობის დიდ მეგობარს, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანს იზაბელა ბლუმს".

თავისი სიტყვის დასასრულს ქ-ნი კოტონი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდად აფასებენ სხვა ქვეყნების ქალები საბჭოთა ქალების ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ხალხთა შორის მეგობრობის განვითარება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა ნ. ვ. პოპოვამ.



„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო სტალინური პრემიის გადაცემა პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნის ნ. ვ. პოპოვასათვის. სურათზე: პრემიის გადაცემის შემდეგ აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი ულოცავს ნ. ვ. პოპოვას მაღალი ჯილდოს მიღებას.

ფოტო ფ. ლატაპოვასი.

## ნ. ვ. პოპოვას სიტყვა

„ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ძნელია სიტყვებით გამოვთქვა გრძნობები, რასაც განვიცდი ჩემთვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მონიჭების გამო.

მე კარგად მესმის, რომ ეს არის იმ დიდ ღონისძიებათა აღიარება, რომლებსაც საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ქალები ახორციელებენ მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, და დიდად აღფრთოვანებული და ბედნიერი ვარ იმით, რომ წილად მხვდა პატივი მიმეღო ეს ჯილდო.

ჩვენს დროში მთელი კაცობრიობა ცხოვრობს მშვიდობის ბედისათვის დიდი შეშფოთების ვითარებაში. საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ავიცილოთ ახალი სისხლისღვრის საფრთხე, იმპერიალისტური ბანაკის ქვეყნებში კი აგრესიული წრეები გამალებით ემზადებიან ახალი მსოფლიო ომისათვის, აღვივებენ ომის ფსიქოზს და ხალხთა შორის სიძულვილს.

მშვიდობის მტრები, ატყუებენ რა თავიანთი ქვეყნების მოსახლეობას, ცდილობენ შენიღბონ თავიანთი აგრესიული საგარეო პოლიტიკა და ამავე დროს დაამახინჯონ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ნამდვილი მშვიდობისმოყვარული ხასიათი. მაგრამ ათეულ მილიონობით უბრალო ადამიანი სხვადასხვა ქვეყანაში სულ უფრო ცხადად ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და განუხრელად იბრძვის მშვიდობის შენარჩუნებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

საბჭოთა ადამიანები დაუცხრომლად შრომობენ იმისათვის, რომ მთელი ჩვენი ხალხი უკეთ ცხოვრობდეს, რომ თვითეულ მუშას, გლეხს, ინტელიგენტს შინ ყველაფერი საკმაო ჰქონდეს. ჩვენ ყველანი ვხედავთ, რა ფართოდ გაჩაღდა ჩვენს ქვეყანაში ბრძოლა იმისათვის, რომ მკვეთრი აღმავლობის გზით წავიდეს სოფლის მეურნეობა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. უეჭველია, ჩვენ მალე კიდევ უფრო მეტი სურსათი და საქონელი გვექნება. წლითიწლობით სულ უფრო გაუმჯობესდება ცხოვრება, ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ქალს შეუმსუბუქდეს შრომა ოჯახში, საოჯახო მეურნეობაში. საბჭოთა ადამიანები ყოველდღიურად გრძნობენ თავიანთი კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას.

ჩემი საზოგადოებრივი საქმიანობის მიხედვით საკმაოდ ხშირად ვხვდები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, მაძლევენ ბევრ შეკითხვას, განსაკუთრებით ისინი, ვინც კაპიტალისტურ ქვეყნებში ცხოვრობს. მეკითხებიან და უკვირთ: რატომ ხდება, რომ მაშინ როცა უმუშევრობა არ არის, საბჭოთა ახალგაზრდობა და ცხოვრებაში გამობრძმედილი ადამიანები ტოვებენ კეთილმოწყობილ ქალაქებს და თავისი ნებით მიდიან ველებში ყამირი მიწების ათვისებლად; რით აიხსნება, რომ საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც ომის საშინელებები გამოსცადეს და რომლებიც ატომური და წყალბადის ბომბის საუკუნეში ცხოვრობენ, ოპტიმისტები რჩებიან და აღფრთოვანებული არიან უკეთესი მომავლის რწმენით; რატომ არის, რომ საბჭოთა ქალები იმ შემთხვევებში, როცა ისინი არ განიცდიან გაჭირვებას, ცდილობენ იმუშაონ; რატომ არ არის საბჭოთა ქვეყანაში კონფლიქტი მოხუცებსა და ახალგაზრდებს შორის; რით აიხსნება, რომ საბჭოთა მთავრობასა და კომუნისტურ პარტიას ასე დიდი პოპულარობა აქვთ ხალხში?

ასეთ და მსგავს კითხვებზე შეგვიძლია მოკლედ ვუპასუხოთ: საბჭოთა სახელმწიფოში ძალაუფლება თვით ხალხს ეკუთვნის. საბჭოთა საზოგადოების თვითეული წევრი უაღრესად დაინტერესებულია მთელი ჩვენი ქვეყნის წარმატებებით. იგი ზრუნავს მთელი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, თავისი ქვეყნის ნაციონალური სიმდიდრის გადიდებისათვის, მან იცის, რომ ქვეყნის სიმდიდრის ზრდასთან ერთად განუხრელად იზრდება მისი პირადი კეთილდღეობაც. ასეთია საბჭოთა ცხოვრების წესი, ასეთია ჩვენი ქვეყანა, სადაც არ არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც არ არიან ღატაკნი და მდიდრები, სადაც თვითეული შრომობს თავისი უნარის მიხედვით და იღებს შრომის მიხედვით, სადაც ყველანი ცდილობენ ააშენონ კომუნისტური საზოგადოება, რომელიც უზრუნველყოფს სიუხვეს, როცა თვითეული იშრომებს უნარის მიხედვით და სულ უფრო სრულად დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებებს.

საბჭოთა ქალები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, არიან კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლები, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლნი, საბჭოთა ქალები სულით და გულით ესწრაფვიან მშვიდობას. მათ იციან, რა არის ომი, მათ უდიდესი განსაცდელი გადაიტანეს მეორე მსოფლიო ომის წლებში. თავდადებული შრომით, თავიანთი გმირობით მათ დიდი წვლილი შეიტანეს აგრესორთა განადგურების საქმეში, ჰიტლერიზმის ბატონობის საფრთხისაგან კაცობრიობის გადარჩენის საქმეში. მტრის განადგურების შემდეგ ისინი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ძლევდნენ რა ყველა სიძნელეს, იბრძოდნენ ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაციისათვის. ახლა ისინი დაუცხრომლად შრომობენ იმისათვის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი კიდევ უფრო კარგად ცხოვრობდეს.

საბჭოთა ქალები დაუცხრომლად განამტკიცებენ თავიანთ მეგობრულ ურთიერთობას უცხო ქვეყნების ქალებთან. უცხოელ ქალთა ათობით დელეგაცია ყოველწლიურად ჩამოდის საბჭოთა კავშირში. ეცნობიან რა საბჭოთა სინამდვილეს, ისინი ტყობილობენ სიმართლეს ჩვენი ქვეყნის შესახებ, ჩვენი ხალხის, ჩვენი მშვიდობისმოყვარეობის შესახებ და ეს მათ ახალ ძალას მატებს ბრძოლისათვის.

მშვიდობისათვის, ყველა ქვეყნის ქალებისა და ბავშვების ბედნიერებისა და სიხარულისათვის საბჭოთა ქალები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობაში. ამ მოძრაობას, როგორც ცნობილია, სათავეში უდგას ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომელიც მსოფლიოს 66 ქვეყანაში აერთიანებს 140 მილიონ წევრს.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე ფედერაცია იბრძოდა ქალთა უფლებების დასაცავად, რაზმავდა საზოგადოებრივ აზრს ქალთა დისკრიმინაციისა და დამონების წინააღმდეგ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე აყენებდა ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხებს, მოითხოვდა მთავრობებისაგან მიანიჭონ ქალებს კანონით და ფაქტიურად მამაკაცის თანაბარი უფლებები.

ქალთა მსოფლიო კონგრესმა, რომელიც მოწვეულ იქნა ფედერაციის ინიციატივით კოპენჰაგენში, მიიღო დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი — ქალის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც მოქმედების პროგრამა გახდა ყველა ქვეყანაში, სადაც კი ქალს არა აქვს მამაკაცის თანაბარი უფლებები. ფედერაცია და მისი ეროვნული ორგანიზაციები აქტიურად იცავენ მშვიდობის საქმეს, მოუწოდებენ და მშვიდობისათვის მოძრაობაში იზიდავენ სულ სხვადასხვა სოციალური ფენის ათეულ მილიონობით ქალს. ცნობილია, რომ ქალები კაცობრიობის ნახევარს შეადგენენ, და მათზე ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები დღეს და ხვალ.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწინავე რიგებში არიან საბჭოთა ქალები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ქალები. ფედერაციის რიგებში აქტიურად იბრძვის კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მილიონობით ქალი. ისინი მძიმე პირობებში, რეპრესიებისა და დევნის ვითარებაში თავდადებით იბრძვიან მშვიდობისათვის, თავიანთი უფლებებისათვის, თავიანთი შვილების სიცოცხლისათვის.

მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია ქალთა დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეთა სახელები. მაგრამ ქალთა ფართო ფენებისათვის — და არა მარტო ქალებისათვის — ყველაზე პოპულარული და საყვარელი სახელი გახდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარის, მშვიდობის სტალინური პრემიის ლაურეატის ქ-ნ ეჟენი კოტონის სახელი.

მშვიდობის სტალინური პრემიების მინიჭება თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებისათვის — სუნ ძინ-ლინის, პაკ დენ აის, მონიკა ფელტონის, ანდრეა ანდრეენის, ელიზა ბრანკოს, ანა ზეგერსის, იზაბელა ბლუმისათვის იმას მოწმობს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა ცნობს ქალის დიდ როლს მშვიდობისათვის, პროგრესისათვის ბრძოლაში, აგრეთვე მოწმობს იმას, თუ რა უდიდესი ავტორიტეტი აქვს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას, რომელიც დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ძალა გახდა.

ამხანაგებო და მეგობრებო!

მთელი მსოფლიოს ხალხთა მეცადინეობას უკვე მოჰყვა შედეგი: ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელების ნათელ ნიშნებს. მშვიდობის ძალები დღითიდღე იზრდება და მტკიცდება. მშვიდობის დაცვის მოძრაობა მოსახლეობის ყველა ფენას, ყველა პროგრესულ ორგანიზაციას და თვითეული ერის საუკეთესო ძალებს მოიცავს.

მშვიდობის სადარაჯოზეა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდი ბანაკი. ახლა სოციალიზმის ალმით ცხოვრობს და შრომობს 800 მილიონზე მეტი კაცი, კაცობრიობის მესამედი. ეს დიდი, მძლავრი ძალაა. დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ხალხების მხარდამხარ მტკიცე მშვიდობისათვის იბრძვიან კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების ხალხები. ყველა ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სწყურია მშვიდობა და სძულს ომი.

ჩემთვის ამ ღირსშესანიშნავ დღეს მსურს ძველი და ახალი ქვეყნის ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხს წარმატება ვუსურვო მშვიდობის შენარჩუნებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ახალი ომის გამჩაღებელთა ალაგმვისათვის ბრძოლაში.

ჩვენ, კომუნისტური პარტიის გარშემო დარაზმული საბჭოთა ადამიანები კი, ვიხელმძღვანელებთ რა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი მოძღვრებით, კვლავაც ვიდგებით მშვიდობის სადარაჯოზე, განვაგრძობთ კომუნიზმის მშენებლობის ჩვენს დიად საქმეს.

ძვირფასო მეგობრებო, ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა მოგახსენოთ ყველა იმ გულთბილი სიტყვისათვის, რაც აქ გამოითქვა. რაც შეეხება ფულად პრემიას, მე მგონია, იგი საუკეთესოდ იქნება გამოყენებული, თუ მოხმარდება ომის შედეგად დაობლებულ ბავშვთა აღზრდას.

ნება მიბოძეთ პირობა მოგცეთ, რომ მე, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, კვლავაც მოვახმარ მთელ ჩემ ძალღონეს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, მშვიდობის შენარჩუნების წმიდა საქმეს". (ხანგრძლივი ტაში).

(საკდეს).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

# კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებების გამო

## დეპუტატ ფ. დ. დუმბაძის სიტყვა

(ქალაქ ბათუმის სტალინის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! აჭარის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ნაყოფიერად მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად.

შარშან აჭარის კოლმეურნეობების ფულადმა შემოსავალმა 6,5 მილიონი მანეთით გადააჭარბა 1952 წლის შემოსავალს. განუხრელად მაღლდება კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის დონე. მიუხედავად ხანგრძლივი ზამთრისა, წელს გაცილებით ორგანიზებულად, შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად სრულდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. არის იმის საფუძველი, რომ აჭარის კოლმეურნე გლეხობა წელს უფრო უხვ და მაღალ მოსავალს მიიღებს.

წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი აჭარის სამრეწველო საწარმოებმა. 1952 წელთან შედარებით რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა 31 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია და სახელმწიფოს მისცა 4.800 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება. განაღდებულია მიმდინარე წლის ოთხი [illegible] ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგია. პირუტყვის საერთო სულადობაში ძროხის რაოდენობა შეადგენს მხოლოდ 24,8 პროცენტს. ამასთან საშუალოდ თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა წლიურად 444 კილოგრამს არ აღემატება. არ შესრულებულა პირუტყვის ნამატის მიღება-გაზრდის გეგმა. მთავარი მიზეზი, რაც ხელს უშლის მეცხოველეობის განვითარებას, მტკიცე საკვები ბაზის უქონლობაა. აჭარის კოლმეურნეობებს ყოველწლიურად სხვა რაიონებში დაახლოებით 10 ათასი ტონა თივის დამზადება და შეძენა უხდებათ, რაც დიდ შრომითს და ფულად დანახარჯებთან არის დაკავშირებული. კარგი იქნება, თუ თივის ორგანიზებულად დამზადებისა და შემოზიდვის საქმე დაევალება ცეკავშირს ან სხვა რომელიმე დამამზადებელ ორგანიზაციას. ეს უსათუოდ კარგ შედეგს გამოიღებს და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას.

სერიოზული ნაკლოვანებებია აჭარის მრეწველობის მუშაობაშიც. ჯერ კიდევ არის საწარმოები, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ. ბევრი საწარმოს პროდუქციის ხარისხი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნებს. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი სურათი გვაქვს ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების სისტემაში.

ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს წარმოების კულტურის დაბალი დონე. სათანადო ყურადღება არ ექცევა ტექნოლოგიური რეჟიმის ზუსტად დაცვას, ტექნიკის ახალი მიღწევების დანერგვას, მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას.

ეს ნაკლოვანებები მარტო საწარმოების ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობით კი არ არის გამოწვეული, არამედ იმითაც აიხსნება, რომ მთელი რიგი სამინისტროები მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს საჭირო რაოდენობით ვერ აწვდიან ნედლეულსა და დამხმარე მასალებს.

ბათუმი წლითიწლობით სულ უფრო კეთილმოწყობილი ქალაქი ხდება. მარტო მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ქალაქის საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის გაღებულია 10.380 ათასი მანეთი.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ ბათუმი ნამდვილად კეთილმოწყობილ ქალაქად გადაიქცეს. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმას, რაც, სამწუხაროდ, [illegible] ბილოა. ამჟამად 355 სახლს სჭირდება მიმდინარე და 198 სახლს კაპიტალური შეკეთება, 84 სახლი ავარიულ მდგომარეობაშია. აქედან ცხადია, რომ არსებული საბინაო ფონდის შესანარჩუნებლად არ კმარა წელს გათვალისწინებული 4 მილიონი მანეთი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს კაპიტალურ მშენებლობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი. ტრესტ „ბათუმმშენმა", რომელიც აჭარაში ყველაზე მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციაა, კაპიტალური მშენებლობის 4 თვის გეგმა მხოლოდ 23,4 პროცენტით შეასრულა.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნო ისიც, რომ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და კურორტთა მთავარი სამმართველო სუსტად გვეხმარებიან კურორტების კეთილმოწყობასა და სხვა აუცილებელ ღონისძიებათა გატარებაში.

აჭარის მშრომელები საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით გადაჭრან მათ წინაშე მდგომი ამოცანები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

## დეპუტატ გ. ნ. ჯიბლაძის სიტყვა

(ქალაქ თბილისის ენგელსის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! მიმდინარე წლის იანვარში შესრულდა 300 წელი, რაც პერეიასლავის რადამ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ. ეს დღე საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში აღბეჭდილია როგორც უდიდესი მონაპოვარი თავისუფლებისმოყვარე უკრაინელი ხალხისა, რომელიც თავისი კულტურის ბრწყინვალე შედევრებით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

უკრაინელმა ხალხმა, ისევე როგორც ქართველმა ხალხმა, მხოლოდ დიდი რუსი ხალხის დახმარებით შეძლო მიეღწია საბჭოთა ხელისუფლების წლებში უდიდესი წარმატებებისათვის, აეშენებინა სოციალიზმი და თავისი ძალები მთლიანად მიემართა კომუნიზმის კამკამა მწვერვალების დასაპყრობად. ეს მიღწევები დღეს მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია.

რესპუბლიკის ბიუჯეტის ციფრებში ამეტყველებულია გიგანტურ სამუშაოთა ჰეროიკა და თვითეული ციფრი წარმოადგენს კომუნიზმის ხარაჩოებზე მიტანილ აგურს.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ მოვისმინეთ ბიუჯეტის შესახებ მოხსენება და ვხედავთ, თუ რაოდენ დიდ ზრუნვას იჩენენ პარტია და მთავრობა ხალხის კეთილდღეობისათვის.

მიმდინარე წელს განათლებისათვის გამოყოფილია უდიდესი თანხა — 778.727 ათასი მანეთი, აქედან რესპუბლიკის ბიუჯეტით — 88.337 ათასი მანეთი, ადგილობრივი ბიუჯეტით — 690.390 ათასი მანეთი. ეს თანხა მთლიანად მოხმარდება სახალხო განათლების ამოცანების წარმატებით შესრულებას, კერძოდ, რესპუბლიკის 12 ქალაქში საყოველთაო განათლების გატარებას საშუალო სკოლის, ხოლო დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში — რვაწლიანი სკოლის ფარგლებში.

ამჟამად რესპუბლიკის სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს გადასაყვანი, გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები. პირველმა დღეებმა გვიჩვენა, რომ როგორც სკოლები, ისე სახალხო განათლების ორგანოები საგაზაფხულო გამოცდებს სათანადოდ მომზადებული შეხვდნენ. მოსწავლეების უდიდესი უმრავლესობა საპროგრამო მასალის მკვიდრსა და საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებს.

წელს ჩვენი სკოლების ცხოვრებაში სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენდა ის, რომ კლასებში შემცირდა საგამოცდო საგნების რაოდენობა. ამან ერთი მხრივ უზრუნველყო მოსწავლეთა გადატვირთვის თავიდან აცილება, ხოლო მეორე მხრივ ამაღლა პასუხისმგებლობა საგამოცდო საგნების უფრო ღრმად შეთვისებაში.

ჩვენს ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს ყველა საჭირო ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ შევამციროთ პროგრამები და ამ საფუძველზე სახელმძღვანელოების მოცულობა.

სკოლებში გამოცდების პარალელურად მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლისათვის. იწყება სკოლების შენობათა კაპიტალური რემონტი, იბეჭდება სახელმძღვანელოები. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ უკვე მიიღეს დადგენილება ახალი სასწავლო წლისათვის მზადების შესახებ. ფაქტია, რომ გარკვეულ წარმატებებთან ერთად სკოლების მუშაობაში გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთა გამოსწორებისათვის განათლების სამინისტროსთან ერთად ყველა ზომა უნდა მიიღონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. ყოველდღიური ყურადღება უნდა ექცეოდეს სახელმძღვანელოების, პროგრამებისა და მეთოდური ლიტერატურის თავის დროზე გამოცემას. ამ მხრივ ხელს გვიშლის პოლიგრაფიული მრეწველობის სუსტი ბაზა რესპუბლიკაში. ამიტომ, უაღრესად სერიოზულ საკითხს წარმოადგენს პოლიგრაფიული ბაზის შემდგომი განმტკიცება.

რესპუბლიკაში წლითიწლობით არ სრულდება სასკოლო მშენებლობის გეგმა. გასულ წელს სასკოლო მშენებლობის გეგმა 93 პროცენტით შესრულდა, 1952 წელს კი — 73 პროცენტით. ეს ერთგვარი ნაბიჯი იყო წინ, მაგრამ ეს ნაბიჯი ვერავის დააკმაყოფილებს, მით უმეტეს, რომ ამჟამად მეორე ცვლაში 225.942 მოსწავლე, ხოლო მესამე ცვლაში 5.167 მოსწავლე მეცადინეობს საკლასო ოთახების ფართობის სიმცირის გამო. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სასკოლო შენობათა ნაწილი არ შეეფერება თავის დანიშნულებას, რასაც აქ თითქმის ყველა გამოსული ამხანაგი შეეხო. წინათ კურსი იყო აღებული იმაზე, რომ მეტ ადგილას დაეწყოთ მშენებლობა, დამთავრებისათვის საჭირო თანხების გაუთვალისწინებლად. ეს იწვევდა დაწყებული შენობის კონსერვაციას. ამჟამად რესპუბლიკაში 38 სასკოლო მშენებლობა კონსერვაციაქმნილია. მათი მშენებლობისათვის უკვე დახარჯული თანხები, შეიძლება ითქვას, ნახევარზე მეტი დაკარგულია, ვინაიდან შენობები დაუმთავრებელია, ხოლო რაც აშენდა, სამი მეოთხედით დანგრეულია. წელს 38 კონსერვაციაქმნილი შენობიდან განათლების სამინისტრომ შეძლო მხოლოდ ორი ობიექტის გათვალისწინება სატიტულო სიაში.

წელს რესპუბლიკაში სულ შენდება 32 სასკოლო შენობა და ერთი საბავშვო ბაღი, ესე იგი 4 ობიექტით მეტი, ვიდრე გასულ წელს. აქედან 23 სასკოლო შენობა და საბავშვო ბაღი წელს უნდა დამთავრდეს, მაშინ როცა შარშან მხოლოდ 19 სასკოლო შენობის აგება მოხერხდა. მომავალი წლისათვის სატიტულო სიაში განათლების სამინისტრო ათვალისწინებს 36 ობიექტის მშენებლობას. მათ შორის 10 გარდამავალი იქნება, თუ სამინისტროს მიერ შედგენილი სატიტულო სია უცვლელად იქნა დამტკიცებული. სამინისტროს თხოვნა იქნება გავითვალისწინოთ შემდეგი: ბიუჯეტით გამოყოფილია განსაზღვრული თანხა სასკოლო მშენებლობისათვის. ამ თანხით მხოლოდ განსაზღვრული ობიექტების აშენება შეიძლება; ამიტომ უმჯობესია მტკიცე კურსი ავიღოთ უწინარეს ყოვლისა კონსერვაციიდან ამ შენობების გამოსაყვანად, რომლებიც შედარებით ვარგისია და მივცეთ მათ იმდენი თანხა, რამდენიც უზრუნველყოფს საბიუჯეტო წელში მის დამთავრებას. დანარჩენი თანხებით გავითვალისწინოთ ახალი ობიექტების მშენებლობა.

კატეგორიულად უნდა უარვყოთ სასკოლო ობიექტებისათვის თანხების ისეთი განაწილება, როდესაც ობიექტი წლიდან წლამდე გარდამავალ სახეს იღებს. არის შენობები, რომლებიც 20 წელია შენდება და ვერ აშენებულა. რა თქმა უნდა, განათლების სამინისტროს ცოტა ნაკლი როდი აქვს ამ დარგში, მაგრამ მართებული არ არის როდესაც მთელი იერიში სასკოლო მშენებლობის ხაზით განათლების სამინისტროს წინააღმდეგ მიაქვთ, მშენებელი ორგანიზაციები და ადგილობრივი ორგანოები კი იმდენად პასუხისმგებლებად არ გამოიყურებიან. ვერ ვიტყვი, რომ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო, კერძოდ ამხ. ჯაბუა მთელი მონდომებით არ მუშაობდეს და არ ეხმარებოდეს სასკოლო მშენებლობას. მაგრამ ამ საკითხის შედარებით საფუძვლიანი შესწავლით დავრწმუნდებით, რომ თუ მშენებლობის ხაზით საერთოდ არ განხორციელდა გარკვეული ღონისძიებანი, ამ ნაკლს ძნელად თუ ავიცილებთ.

ამჟამად განათლების სამინისტროს ხაზით წარმოებული სამშენებლო ობიექტები პროექტებით, ხარჯთაღრიცხვებითა და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციით ძირითადად უზრუნველყოფილია. მშენებლობა ბრკოლდება მასალების უქონლობისა და სათანადო მუშახელის უყოლობის გამო. ორი-სამი დღის წინ ერთგვარი გარდატეხა მოხდა ხე-ტყის მასალის მიღებაში. თუ ეს საკითხი მოგვარდა, მაშინ მშენებლობაც დაჩქარდება.

რამდენიმე სიტყვა სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური რემონტის შესახებ. გასულ წელს ამ მიზნით გამოყოფილი იყო 29.049.000 მანეთი. წელს გამოყოფილია 26.940 ათასი მანეთი. იმ დროს, როცა გასულ წელს სკოლების სპეციფიკური სამუშაოებისათვის დახარჯა თანხის უმნიშვნელო ნაწილი და გეგმა არ შესრულებულა, წელს მილიონნახევარ მანეთზე მეტი უნდა მოხმარდეს მხოლოდ სპეციფიკურ სამუშაოებს.

ამიტომ ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს ეს გარემოება და იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ თუნდაც შარშანდელი მდგომარეობა, დამატებით გამოგვიყოს კაპიტალური რემონტისათვის 3 მილიონი მანეთი.

ასევე მინდა სესიას ვთხოვო გაითვალისწინოს შემდეგი გარემოება. ჩვენი სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები სერიოზულ შევსებას საჭიროებენ კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყოებით, ხოლო სკოლები — მერხებით და დაფებით. 5-6 წლის წინათ კაბინეტ-ლაბორატორიების შესავსებად, აგრეთვე მერხებითა და დაფებით სკოლების უზრუნველსაყოფად სამინისტროს ეძლეოდა ყოველწლიურად 12-15 მილიონი მანეთი. უკანასკნელი წლების მანძილზე კი გვეძლევა 5-6 მილიონი მანეთი, რაც მეტისმეტად მცირეა.

ამავე დროს ამ თანხას ყოველწლიურად ვიღებთ წლის ბოლოს და მისი ათვისება ვერ ხერხდება. ამიტომ, თუ ეს შესაძლებელია, ვთხოვ სესიას გამოყოფილ ხუთ მილიონ მანეთს ახლა დაემატოს 4 მილიონი მანეთი, რომელიც ჩვენ ყოველთვის წლის ბოლოს გვეძლევა, — ე. ი. სულ მოგვეცეს 9 მილიონი მანეთი მერხებისა და დაფების შესაძენად, აგრეთვე სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კაბინეტ-ლაბორატორიების შესავსებად.

სახალხო განათლების მუშაკები პირობას იძლევიან, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა წარმატებით შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებანი და აღზარდონ სოციალისტური სამშობლოს ერთგული, კულტურული, თავდადებული ახალგაზრდები, რომლებიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ააშენებენ კომუნიზმს.

## დეპუტატ გ. ა. რობაქიძის სიტყვა

(ქუთაისის რაიონის ქვედა სიმონეთის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოში ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებამ საგრძნობლად გადააჭარბა ომამდელ დონეს. საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს საწარმოთა ხაზით აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება გასულ წელს 1940 წელთან შედარებით გაიზარდა ორნახევარჯერ, შალის ქსოვილებისა — 80 პროცენტით, ტანსაცმლისა — 125 პროცენტით და ა. შ.

სამინისტროს საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების 1953 წლის გეგმა 104,8 პროცენტით შეასრულეს, გამოიმუშავეს 26,5 პროცენტით მეტი პროდუქცია ვიდრე 1950 წელს, და ჩვენს ქვეყანას მისცეს ერთნახევარი მილიარდი მანეთის საქონელი. გაწეულია დიდი მუშაობა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა გასაფართოებლად და ტექნიკური აღჭურვილობის გასაუმჯობესებლად.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში სართავი დანადგარების სიმძლავრე გადიდებულია 66 პროცენტით, საქსოვი დანადგარების სიმძლავრე — 42 პროცენტით, უხეში მაუდის წარმოება შეცვლილია წმინდა მაუდის წარმოებით. ქუთაისის მაუდის ფაბრიკის სართავი დანადგარების სიმძლავრე გადიდებულია 55 პროცენტით, ხოლო საქსოვი დანადგარებისა — 27 პროცენტით. ერთიორად გადიდდა მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის საგრეხი საამქროს სიმძლავრე.

აქვე უნდა ითქვას, რომ აბრეშუმის, ტყავეულისა და სამკერვალო წარმოების ძირითადმა საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულეს, ასორტიმენტი დაარღვიეს და გასული სამეურნეო წელი არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრეს. ყველაზე მეტად ჩამორჩნენ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი და ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა.

ამხანაგო დეპუტატებო! ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოებაში მიღწეული დონე ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებებს. ამიტომ 1954 წელს დაგეგმილია ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი მკვეთრი ზრდა.

საერთო პროდუქციის გამოშვება ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს ხაზით წელს იზრდება 19,1 პროცენტით 1953 წელთან შედარებით, აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება იზრდება 28 პროცენტით, შალის ქსოვილებისა — 13 პროცენტით, სამკერვალო მრეწველობის პროდუქციისა — 24 პროცენტით, საძირე ტყავის გამოშვება — 35 პროცენტით.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად საბრძოლო ამოცანად გვაქვს დასახული პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის გამოშვების მკვეთრ ზრდას შესაძლებელია მივაღწიოთ საწარმოო სიმძლავრეთა სრული გამოყენებით, შრომისნაყოფიერებისა და დანადგართა წარმადობის შემდგომი ამაღლებით, ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცებით, უახლესი ტექნიკის უნარიანი ათვისებით. საწარმოო სიმძლავრეთა შემდგომი გადიდებისათვის 1954 წელს კაპიტალური მშენებლობის გეგმა სამინისტროსათვის დამტკიცებულია 42 მილიონი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1953 წლის 29 მილიონისა. ეს თანხა უნდა მოხმარდეს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის გაფართოებას, რაც 1956 წელს უნდა დამთავრდეს, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის გაფართოებას, წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკის სიმძლავრის გადიდებას, შულავრის ქეჩის ფაბრიკის მშენებლობის დამთავრებას, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის გაფართოებას.

მიმდინარე წლის საპროექტო სამუშაოთა გეგმაში შეტანილია ობიექტები, რომელთა მშენებლობა 1955 წელს უნდა დავიწყოთ. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ტერიტორიაზე დაიწყება ახალი კამვოლური ფაბრიკის აგება. ამ ფაბრიკის ამუშავების შემდეგ დამატებით მივიღებთ 1.800 ათას მეტრ კამვოლურ ქსოვილებს, უმთავრესად გაბარდინის, „ლიუქსის" და „მეტროს" ტიპის ქსოვილებს.

თბილისში ამუშავდება ქალის წინდის ფაბრიკა, რომელიც წლიურად გამოუშვებს 3.700 ათას წყვილ წინდას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობას. თბილისში დაიწყო რესპუბლიკაში ყველაზე დიდი 134-ბინიანი სახლის მშენებლობა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად, ნათლად ასახავს ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას. ეს ბიუჯეტი, ეჭვს გარეშეა, ერთხმად იქნება მოწონებული.

ბიუჯეტი ჩვენს სამინისტროს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ სამინისტროს საწარმოთა მრავალათასიანი კოლექტივი გამსჭვალულია ამ დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით და ძალღონეს არ დაიშურებს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საპატიო დავალებანი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

## დეპუტატ ე. ე. ბურჭულაძის სიტყვა

(ქალაქ თბილისის კოჯრის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით მრავალეროვანი სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ვითარდება და ჰყვავის, ახალ წარმატებებს აღწევს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. დიდი მიღწევებია მოპოვებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების დარგში. მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად საქართველოში ამჟამად 159 სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება მუშაობს. რესპუბლიკის მეცნიერული ცენტრი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აერთიანებს 42 საკვლევ დაწესებულებას, მათ შორის 29 ინსტიტუტს, ორ ათეულ უმაღლეს სასწავლებელში მეცნიერების მწვერვალებს ეუფლება ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე უმაღლესი სასწავლებელი, ყოველწლიურად ათასზე მეტ სპეციალისტს აძლევს ჩვენს სამშობლოს. მის აუდიტორიებში, მდიდარ კაბინეტებსა და ლაბორატორიებში ასწავლიან და დიდ მეცნიერულ მუშაობას ეწევიან მოწინავე საბჭოთა მეცნიერები.

სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების პერსპექტივა უმაღლეს სასწავლებლებს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს. მეხუთე ხუთწლედში მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა გამოშვება. უმაღლესი სასწავლებლების წინაშე ამჟამად დგას ამოცანა — გადაჭრით გააუმჯობესონ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი, ქვეყანას მისცენ კადრები, რომლებსაც კარგად ეცოდინებათ თავისი საქმე, ეყვარებათ თავისი პროფესია, იქნებიან სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

წარმატებანი სტუდენტთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში განუყოფლად დაკავშირებულია ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებასთან. უნივერსიტეტის კოლექტივი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გაუმჯობესებისათვის, სტუდენტთა მიერ რევოლუციური თეორიის მტკიცე და ღრმა შეთვისებისათვის, სწავლებაში მეღავთნეობისა და დოგმატიზმის დაძლევისათვის. უნივერსიტეტში საგრძნობლად გაუმჯობესდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხი, მოეწყო მთელი რიგი შემოქმედებითი ხასიათის დისკუსიები აქტუალურ პრობლემებზე, პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-ლიტერატურული პროდუქციის ნიმუშების საჯარო განხილვა, დაიგეგმა ყველაზე საჭირო სახელმძღვანელოთა დამუშავება-გამოცემის საქმე. ჩვენი კოლექტივი მტკიცედ იბრძვის იმისათვის, რომ თვითეული მეცნიერი მუშაკი, სამეცნიერო-პედაგოგიური კოლექტივის თვითეული წარმომადგენელი განუწყვეტლივ აწარმოებდეს კვლევით მუშაობას, ამასთან ცდილობს, რომ ეს მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირდეს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

მაგრამ ჩვენს მუშაობას ნაკლოვანებებიც ახასიათებს. სტუდენტთა ერთი ნაწილის იდეურ-თეორიული მომზადების დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს მოთხოვნებს, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. სწავლების პრაქტიკაში ზოგჯერ თავს იჩენს ფორმალიზმი და ასოკირკიტობა, ცალკეულ მასწავლებელთა უუნარობა — დააკავშირონ მეცნიერება პრაქტიკასთან, ჩვენი ქვეყნის მჩქეფარე ცხოვრებასთან. ჩვენ გვიხდება და კვლავაც მოგვიხდება სერიოზული ბრძოლა ვაწარმოოთ ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის წინააღმდეგ, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს სწავლა-აღზრდის საქმეს.

სტუდენტთა სწავლასა და აღზრდაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მათი სასწავლო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას, მუშაობაში კონტროლსა და დახმარებას. მაგრამ კონტროლი და დახმარება არ უნდა გადაიქცეს წვრილმან მეურვეობად. გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას სკოლარული მეთოდები სწავლებაში. ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები ცდილობენ არ შეზღუდონ თავიანთი ამოცანები სტუდენტებისათვის ლექციების წაკითხვით. კათედრები და კაბინეტები სტუდენტებს ფართოდ აბამენ მეცნიერულ მუშაობაში, ეხმარებიან მათ კვლევითი მუშაობის მოწინავე მეთოდების დაუფლებაში. უნივერსიტეტი იბრძვის იმისათვის, რომ აღუძრას და გაუღვივოს ახალგაზრდობას მეცნიერების სიყვარული, რომ სტუდენტებს სწავლის პერიოდშივე გამოუმუშავდეთ დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა-ძიების ჩვევები.

უმაღლესი სასწავლებლები მოწოდებული არიან აღზარდონ ყოველმხრივ განათლებული, ჯანსაღი, ხალისიანი და სიცოცხლისმოყვარული ახალგაზრდები. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ უნივერსიტეტში ცუდი მდგომარეობა არ არის. დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტების მხატვრულ და ფიზიკურ აღზრდას. მრავალრიცხოვან სამეცნიერო წრეებთან და სექციებთან ერთად უნივერსიტეტში წარმატებით მუშაობს ათობით მხატვრული თვითმოქმედი და სასპორტო-ფიზკულტურული წრე.

ამხანაგო დეპუტატებო! საჭიროდ მიმაჩნია სესიის წინაშე დავაყენო უნივერსიტეტისათვის ფრიად მნიშვნელოვანი ორი საკითხი. პირველია სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის ანუ სტუდქალაქის მშენებლობის საკითხი. ბარაკის ტიპის შენობები, რომლებიც აგებულ იქნა ვაკეში ათი წლის ვადით, სავსებით მოძველდა და ამორტიზებულია. ამ სახლების კაპიტალური რემონტისათვის სახელმწიფოს მიერ გაღებული სახსრები არავითარ ეფექტს არ იძლევა. ამიტომ ვთხოვ მინისტრთა საბჭოს დაავალოს თბილისის საქალაქო საბჭოს პრაქტიკულად გადაიჭრას სტუდენტთა ქალაქში კაპიტალური კორპუსების მშენებლობის საკითხი.

მეორე საკითხი უნივერსიტეტის ცოხისძირის დასასვენებელ სახლს შეეხება. იგი ულამაზეს ადგილას არის აშენებული. ამჟამად ეს დასასვენებელი სახლი საფრთხის წინაშეა. გორაკს, რომელზედაც სახლია აგებული, ზღვა ძირს უთხრის და თუ დროზე არ აიგო ჯებირები, შესაძლებელია ეს ადგილი მალე ჩაინგრეს. ვთხოვ მინისტრთა საბჭოს დააჩქაროს ამ საკითხთან დაკავშირებით გამოყოფილი კომისიის დასკვნების რეალიზაცია და უზრუნველყოს ზღვის სანაპიროს გასამაგრებელ სამუშაოთა დაწყება.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1954 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია სესიის განსახილველად, საერთო-საკავშირო ბიუჯეტის ორგანული ნაწილია. იგი ასახავს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის საგრძნობი წინსვლის ამოცანებს. გამოვხატავ რა ამომრჩეველთა სურვილსა და მისწრაფებებს, მხარს ვუჭერ ბიუჯეტის პროექტს, მხარს ვუჭერ წინადადებას მისი დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXV წელი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შექმნიდან

# მტს-ი გადამწყვეტი ძალაა საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში

«კომუნისტურ საზოგადოებაში საშუალო გლეხობა მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენს მხარეზე, როცა მას ცხოვრების ეკონომიურ პირობებს შევუმსუბუქებთ და გავუმჯობესებთ. ჩვენ რომ შეგვეძლოს მივცეთ ხვალ 100 ათასი პირველხარისხოვანი ტრაქტორი, მოვამარაგოთ ისინი ბენზინით, მოვამარაგოთ ისინი მემანქანეებით (თქვენ მშვენივრად იცით, რომ ჯერჯერობით ეს ფანტაზიაა), საშუალო გლეხი იტყოდა: «მე კომუნიის (ე. ი. კომუნიზმის) მომხრე ვარო».

ვ. ი. ლენინი.



სურათზე — მარცხნიდან მარჯვნივ: ახმეტის მტს-ის ბრიგადირ-კომბაინერი ს. რამაზაშვილი, სტალინირის მტს-ის ტრაქტორისტი ზ. კასაევი, ალაზნის მტს-ის ტრაქტორისტი ა. ქანდელაკიშვილი, ალაზნის მტს-ის ბრიგადირ-კომბაინერი მ. ლაზარიაშვილი, ტიბაანის მტს-ის ტრაქტორისტი ე. ნატროშვილი, რუისის მტს-ის კომბაინერი ი. ტიტვინიძე, აგარის მტს-ის კომბაინერი გ. ნოზაძე და ცხაკაიას მტს-ის ტრაქტორისტი ვ. ხუნწარია.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არის 9 ათასზე მეტი მტს-ი. ამ მტს-ებში არის მილიონზე მეტი ტრაქტორი 15-ძალიანზე გაანგარიშებით, 300 ათასი კომბაინი და რამდენიმე მილიონი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი. უფრო სრულყოფილი და ეკონომიური დიზელიანი ტრაქტორების რაოდენობა მტს-ებში 1940 წელთან შედარებით 14-ჯერ გაიზარდა. შექმნილია ახალი, უფრო სრულყოფილი სათოხნი ტრაქტორები.

## რუსი მეგობრების მაგალითისამებრ

კრასნოდარის მხარის მედვედოვსკის მტს-ი ერთ-ერთი მოწინავე მტს-ია მთელ საბჭოთა კავშირში. ამ კოლექტივის მუშაობამ მაღალი შეფასება მიიღო ამ რამდენიმე თვის წინათ მოსკოვში, კრემლში შემდგარ მტს-ების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირზე. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული გადაუდებელი ამოცანების უკეთ შესრულების მიზნით ჩვენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩავებით მედვედოვსკის მტს-თან, გვაქვს ხშირი მიმოწერა.

მედვედოვსკის განთქმულ მტს-ში ფართოდ არის დანერგილი მემინდვრეობაში სათოხნი კულტურების კომპლექსური მექანიზაცია. გასულ წელს მთლიანად მექანიზებული იყო ისეთი სამუშაოები, როგორიც არის ხვნა, ფარცხვა, თავთავიანი და სათოხნი კულტურების თესვა, საკვების დასილოსება, თიბვა, ნაწველალის აოშვა, მეცხოველეობის ფერმებში წყალმომარაგება, ცხვრის პარსვა.

მედვედოვსკის მტს-ის კოლექტივმა წარმატებით აითვისა და პრაქტიკულად იყენებს სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად თესვის წესს. ამ წესის გამოყენებამ მათ საშუალება მისცა მთლიანად მექანიზებულად დაამუშაონ სათოხნ კულტურათა ნათესები.

ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ და ვსწავლობთ მედვედოვსკელი მექანიზატორებისაგან. რუსი მექანიზატორების მაგალითისამებრ ვაფართოებთ კოლმეურნეობებში მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობას. რუსი მექანიზატორების შესანიშნავ გამოცდილებას მტს-ის მუშაკები ფართოდ დანერგავენ ნათესების დამუშავებასა და მოსავლის აღებაში.

რუსი ამხანაგების მეგობრობა, მათთან სოციალისტური შეჯიბრება დაგვეხმარა საკოლმეურნეო მინდვრებზე მაღალი აგროტექნიკის დანერგვაში. ჩვენმა მტს-მა საგაზაფხულო თესვა 16 სამუშაო დღეში დაამთავრა. საგაზაფხულო კულტურები დავთესეთ 4.338 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.605 ჰექტარისა. სიმინდი და მზესუმზირა დავთესეთ 720 ჰექტარზე. ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს სათოხნი კულტურების დამუშავება, რასაც პურეულის მკის დაწყებამდე დავამთავრებთ. გავაჩაღეთ თივის აღება და საკვების დასილოსება. გათიბულია 720 ჰექტარი, დასილოსებულია 660 ტონა საკვები.

წელს მოსავლის აღება მოგვიხდება 11.800 ჰექტარზე, აქედან 10.200 ჰექტარი თავთავიანი კულტურებია. ვადაზე ადრე დამთავრდა რემონტი, კომბაინები მზად არიან ყანების გასაპრელად.

მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში 39 კომბაინი იმუშავებს, აქედან „სტალინეც-6“ მარკის — 16, თვითმავალი — 3 და „კომუნარის“ მარკის 20 კომბაინი. ხადღელამისო მუშაობისათვის 20 კომბაინზე მოვაწყეთ ელექტროგანათება. თვითეულ კომბაინზე 25-27 კაცი იმუშავებს, მოსავლის აღებისთანავე მტს-ის საშუალებით მოვაწყობთ ნაკვეთების გაწმენდას ნამჯისაგან და დავიწყებთ საშემოდგომო საადრეო ხვნას, მოვხნავთ 2.600 ჰექტარს.

10 კომბაინზე მოწყობილია ჩაწოლილი ყანის ასაღები მოწყობილობა. კომბაინებს მომსახურებას გაუწევს 3 მოძრავი სახელოსნო.

ჩვენი მოძმე მედვედოვსკელი მექანიზატორების მდიდარი გამოცდილების უფრო ფართოდ გამოყენებით ჩვენი მტს-ი მოიპოვებს ახალ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

დ. მერებაშვილი,
წითლის მტს-ის დირექტორი.

## ლაპარაკობენ მექანიზატორები

### ჩვენი სიტყვა და საქმე

მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მდიდარი გამოცდილება აქვს. შარშან თვითეული თხუთმეტძალიანი ტრაქტორის საშუალო წლიური დატვირთვა 390 ჰექტარამდე ავიყვანეთ და 15.123 კილოგრამი საწვავი დავზოგეთ.

მთავარი, რაც ამ გაზაფხულზე მიზნად დავისახეთ, ის იყო, რომ უნაკლოდ განგვეხორციელებინა თესვის მოწინავე, პროგრესული წესები. ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას კვადრატულ-ბუდობრივად დავუთესეთ 103 ჰექტარი მზესუმზირა. ბრიგადამ დათესა აგრეთვე 50 ჰექტარი ბალახები, 30 ჰექტარი სასილოსე სიმინდი, 10 ჰექტარი ჭარხალი, მოხნა 100 ჰექტარი ფართობი, დაამუშავა 40 ჰექტარი ვენახი.

მტკიცედ გადავწყვიტე წელს 24 სამუშაო დღეში მოსავალი ავიღო 600 ჰექტარზე და გავლეწო 910 ტონა მარცვალი.

ახლოვდება პურეულის მკა. ვებმები სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსავლის უდანაკარგოდ, სწრაფად აღებისათვის და ვიწვევ კომბაინერებს იოსებ ტიტვინიძეს და სოლომონ რამაზაშვილს.

მ. ლაზარიაშვილი,
ალაზნის მტს-ის მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირ-კომბაინერი.

### შევასრულებთ დავალებას

თვრამეტი წლის წინათ გურჯაანის ავტოსატრაქტორო სკოლა დავამთავრე. მტს-ში მისვლისთანავე „უნივერსალის“ მარკის ტრაქტორი ჩამაბარეს. მუშაობის პირველ წლებშივე დავრწმუნდი, რომ ერთი პროფესიის ცოდნა საკმარისი არ იყო. ახლა მანქანა-ტრაქტორთა სადგურში არ მოიპოვება ისეთი მანქანა, რომლის მართვა არ ვიცოდე.

ათ წელზე მეტია სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირად ვმუშაობ. ამ ხნის განმავლობაში პირველი ჩემი საზრუნავი ის იყო, რომ ბრიგადის ყველა წევრი საფუძვლიანად დაუფლებოდა ტექნიკას. ა. ჭიჭიაშვილი, გ. მამუკელაშვილი, ი. ჭიჭიაშვილი, რომლებიც ამჟამად ახმეტისა და ალვანის მტს-ების სატრაქტორო ბრიგადებს ხელმძღვანელობენ, ჩვენს ბრიგადაში აღიზარდნენ.

ბრიგადის წევრები მთელი მონდომებით მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად. წელს ზემო ხოდაშნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა საგაზაფხულო სამუშაო დაწესებულ ვადაზე და მაღალხარისხოვნად შევასრულეთ. კვადრატულ-ბუდობრივად დავთესეთ 81 ჰექტარი სიმინდი.

პურეულის მოსავალს კარგი პირი უჩანს. მკისათვის მზად ვართ. გადაწყვეტილი გვაქვს დღეში საშუალოდ 20-25 ჰექტარზე ავიღოთ მოსავალი.

ს. რამაზაშვილი,
ახმეტის მტს-ის პირველი ბრიგადის ბრიგადირ-კომბაინერი.

### პროგრესული მეთოდით

მიმდინარე წლის იანვრის ბოლო რიცხვებში გაზეთებმა სასიხარულო ამბავი გვაუწყეს. ჩვენი დიადი სამშობლოს გულში — მოსკოვში მუშაობა დაიწყო მტს-ების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა. თათბირის მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს მექანიზატორებს უხვი მოსავლის მოყვანისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. მაშინ ჩვენ ვიკისრეთ 20 თებერვლისათვის დაგვემთავრებინა „დტ-54“ მარკის ტრაქტორის, 2 სათესისა და 2 სატრაქტორო გუთნის რემონტი, არ დაგვეშვა წუნი მუშაობაში, გაგვეწია საწვავ-საცხების ეკონომია. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ მტს-ის მეხუთე ბრიგადა. მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა. პირობა გავანაღდეთ.

მექანიზატორებს აქვთ შენიშვნები თბილისის არტელ „ელექტრომეტალის“ კოლექტივის მიმართაც. არტელის მიერ დამზადებული ხელით სათესი აპარატის მექანიზმი სუსტია, ხშირად ტყდება, სიმინდის მარცვლები ცვივა.

გაჩაღდა სიმინდის ნათესების დამუშავება. მექანიზატორთა წინაშე დიდი ამოცანებია დაყენებული. კარგად მოვაწყობთ 100 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად დათესილის ჯვარედინ კულტივაციას და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ჩვენი მტს-ის ტრაქტორისტს ა. კუპრეიშვილს.

ვ. ხუნწარია,
ცხაკაიას მტს-ის ტრაქტორისტი.

## „სტალინეცი“ გუგუნებს

ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ მინდვრებს
დღეს „სტალინეცი“ თავს დაჰგუგუნებს.
ის გამარჯვების ჩირაღდანს გვინთებს,
დიდებით მოსავს ამ საუკუნეს.

დაემშვიდობა გლეხი კავ-გუთანს —
ლირლიტა ბანს რომ შემოსძახოდა,
იცის, ტრაქტორი ლელოს გაუტანს,
ბეღლებს აუვსებს პური ახოდან.

ფრთები შესხმია ლენინის ნატვრას,
დიდძალ მანქანებს იღებს სოფელი,
დასახატავად ეძახის მხატვარს
დოვლათი, ხალხის დამატკბობელი.

გული საყვარელ სამშობლოს უმღერს,
მის სიტურფეზე ვინ მორჩა მღერას!
შევხარით გამტყდარ ყამირის გულ-მკერდს,
სადაც ჯეჯილი ზღვასავით ღელავს.

## უძველესი მტს-ის ადამიანები

ახალი წარმატებებით ეგებებიან აგარელი მექანიზატორები მტს-ების არსებობის 25 წლისთავს. ამ მეოთხედი საუკუნის წინათ შეიქმნა თვით აგარის მტს-იც. ეს ის პერიოდი იყო, როცა მშრომელი გლეხობა მტკიცედ დაადგა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ მითითებულ საკოლმეურნეო მშენებლობის ერთადერთ სწორ გზას. საბჭოთა ხელისუფლებამ, საკოლმეურნეო წყობილებამ გლეხობა შეძლებული, კულტურული ცხოვრების გზაზე გამოიყვანა.

25 წლის მანძილზე მძლავრი ტექნიკით შეივსო აგარის მტს-ის პარკი. ამჟამად მის განკარგულებაშია 53 ტრაქტორი, 21 კომბაინი და მრავალი მისაბმელი იარაღ-მანქანები. კულტურულად გამშვენიერდა მტს-ის კარმიდამო, აშენდა საცხოვრებელი ბინები, ახალი სახელოსნო და ფარდულები, ადგილობრივ აღიზარდა მექანიზატორთა შესანიშნავი კადრები.

ცნობილი კომბაინერი გიორგი ნოზაძე აგარის მტს-ში 1933 წლიდან მუშაობს. იგი საუკეთესოდ არის დაუფლებული ორ პროფესიას, უბნის მექანიკოსია, ხოლო მოსავლის აღების დროს კომბაინის საჭეს უზის. ნოზაძემ შარშან „სტალინეც-6“ კომბაინით 24 სამუშაო დღეში მოსავალი 550 ჰექტარზე აიღო ნაცვლად 280 ჰექტარისა. რამდენიმე პროფესიას დაუფლებულია ალექსი ტიტვინიძე, რომელმაც გასულ წელს კომბაინით 25 სამუშაო დღეში მოსავალი 557 ჰექტარზე აიღო. მექანიკოს-კონტროლიორი ზაქარია ჩუტკერაშვილი აგარის მტს-ში დაარსებიდანვე მუშაობს. მას ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და მადლობა.

საქართველოში კომბაინერთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორი იოსებ ტიტვინიძე აგარის მტს-ში აღიზარდა. ამჟამად იგი რუისის მტს-შია და დიდი სიყვარულით სარგებლობს მექანიზატორებს შორის. მან მრავალი მექანიკოსი და კომბაინერი გამოზარდა.

ახალგაზრდა მექანიზატორთა შორის აღსანიშნავია ოთარ კავთელაშვილი, რომელიც ამჟამად სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირია. კომბაინის მართვას დაუფლებულია აგრეთვე ახალგაზრდა ტრაქტორისტი ვალერიან ტიტვინიძე. იგი დაწინაურებულია სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელად. კომბაინის მართვას არის დაუფლებული აგრეთვე მეშტურვალე დიმიტრი ზუბაშვილი.

ქარელის რაიონის აგარის მტს-ი, რომლის დირექტორია ა. ბარბაქაძე, ყოველწლიურად აძლიერებს კოლმეურნეობებისადმი დახმარებას. მტს-მა თავისი მომსახურების 12 კოლმეურნეობაში სატრაქტორო სამუშაოები რბილ ხვნაზე გადაყვანით 9.264 ჰექტარზე შეასრულა.

აგარელი მექანიზატორები კარგად დაეუფლნენ მოსავლიანობის გადიდების პროგრესულ წესს — სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად დამუშავებას. მტს-ის მოწინავე მექანიზატორმა ავთანდილ გეგელაშვილმა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა „სშ-6“ ისე მოაწყო, რომ ბაგირი არ ესაჭიროება. მან 60 ჰექტარ ნათესზე უკვე ჩაატარა სიმინდის ორმხრივი კულტივაცია. უძველესი მტს-ის მექანიზატორებმა უკვე დაამთავრეს კომბაინების რემონტი და მზად არიან პურეულის მოსავლის აღებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მიღწევის შესახებ აქაური ტრაქტორისტები, კომბაინერები, მეშტურვალეები სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით უპასუხებენ. მტს-ის შექმნის 25 წლისთავთან დაკავშირებით აგარელმა მექანიზატორებმა გადაწყვიტეს სრული დატვირთვით გამოიყენონ თვითეული მანქანა, უზრუნველყონ გამომუშავების ცვლის ნორმების შესრულება და წელს პურეულის მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ 6.000 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.600 ჰექტარისა.

ვ. ზურაბიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## მთელი სიმძლავრით გამოვიყენოთ ტექნიკა მინდვრებზე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი მზრუნველობით ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები აღჭურვილი არიან თანამედროვე პირველხარისხოვანი ტექნიკით.

1929 წელს ღირსშესანიშნავი ფურცელი ჩაიწერა საქართველოს სსრ საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიაში. ამ წელს შეიქმნა 3 მანქანა-ტრაქტორთა სადგური — აბაშას, აგარისა და მარნეულის. შემდეგში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე ყოველწლიურად დიდდებოდა. ამჟამად საქართველოში 101 მტს-ი და 3 მეცხოველეობის სამანქანო სადგურია. მტს-ების სატრაქტორო პარკი 1940 წელთან შედარებით სამჯერ და უფრო მეტად გადიდდა, განსაკუთრებით მუხლუხა დიზელიანი ტრაქტორებით, ხოლო კომბაინებისა — 2,5-ჯერ. ამავე დროს მტს-ებმა მიიღეს ახალი მარკის მრავალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა, ჩარხდანადგარები და სხვა ტექნიკური მოწყობილობა.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკური შეიარაღება გაიზარდა არა მარტო რაოდენობრივად, არამედ გაუმჯობესდა ხარისხობრივადაც. ცნობილია, რომ ომამდე ჩვენი სატრაქტორო პარკის საფუძველს თვლიანი მანქანები შეადგენდა. ომისშემდგომ პერიოდში პარკი შეივსო უმთავრესად უფრო მძლავრი და ეკონომიური დიზელძრავიანი მუხლუხა ტრაქტორებით, დიდი წარმადობის „სტალინეც-6“-ით, თვითმავალი კომბაინებით და ახალი კონსტრუქციის საკიდი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით. მტს-ების პარკი უკანასკნელ წლებში იზრდება საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ახალი ტრაქტორებითა და მანქანებით, როგორიც არის ტრაქტორი „ბელარუსი“, „ხტზ-7“ მანქანებით, კარტოფილის სარგავი და ასაღები მანქანებით, კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანებით, კულტივატორებით, სიმინდის ასაღები კომბაინებით, არხის მთხრელებით, ჩაის სასხლავი, თივის ასაღები, შემგროვებელი, დამზვინავი, საძირკვავი, ბუჩქის მჭრელი მანქანებით და დიდძალი სხვა ტექნიკით, რამაც მნიშვნელოვნად შეუმსუბუქა შრომა ადამიანებს საკოლმეურნეო წარმოებაში.

მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის უზრუნველსაყოფად შექმნილია მთელი რიგი ახალი მანქანები, როგორიც არის სილოსის საჭრელი, ჩალის საკუწი, ძირხვენების საჭრელი, საკვების საფქვავი და დასაორთქლებელი, საკვების დამამზადებელი კომბაინი, ელექტროსაწველი აგრეგატი, ელექტროსაპარსი მოწყობილობა, პირუტყვის ფერმის შიგა ტრანსპორტის მოწყობილობა და სხვა მანქანები, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას და საგრძნობლად ამცირებენ შრომადღეების ხარჯვას საკოლმეურნეო ფერმებში.

სოფლის მეურნეობის სამუშაოთა მექანიზაციის დონემ მემინდვრეობაში 1953 წელს მიაღწია ყველა სახის ხვნაში 84,8 პროცენტს, მარცვლეული კულტურების თესვაში — 49,5 პროცენტს, კომბაინებით მოსავლის აღებაში 64,7 პროცენტს, მზესუმზირას კომბაინებით აღებაში — 67 პროცენტს.

გასულ წელს რესპუბლიკის მტს-ებმა მნიშვნელოვნად გამოიყენეს თავთავიანი კულტურების ჯვარედინი და ვიწრომწკრივიანი თესვის მოწინავე მეთოდი, გაზარდეს სიმინდის, კარტოფილის, თამბაქოს და ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა-რგვა, ფართოდ დანერგეს ჩითილის გამოყვანა ტორფნეშომპალის ქოთნებში.

მტს-ებს დიდი ამოცანები აქვთ დაკისრებული მეცხოველეობის განვითარებაში. ახლა მტს-ები თივის აღებისა და ნამჯის დაგროვების გარდა ისეთ სამუშაოებს ასრულებენ, როგორიც არის თივისა და ნამჯის დაწნეხვა, მათი ზვინებად დადგმა, ჩალის დაკუწვა, საკვების დაორთქვლა, რასაც წინათ ჩვენი მტს-ები არ ასრულებდნენ.

სოფლის მეურნეობის მრავალი დარგის მექანიზაციასა და არსებული ინდუსტრიული ტექნიკის სრულად გამოყენებაში საქართველოში ჩამორჩენაა. დაბალია 15-ძალიანი ტრაქტორის გამომუშავება. ერთი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება რესპუბლიკაში მხოლოდ 324 ჰექტარს შეადგენს. მტს-ების მუშაობაში დიდი ნაკლია ტრაქტორების ხშირი მოცდენა. ცვლის ნორმების შეუსრულებლობისა და მტს-ების პარკის არაწესიერი მოვლის და გამოყენების შედეგად ტრაქტორების მეტად დაბალი გამომუშავება აქვს ადიგენის მტს-ს: 158 ჰექტარი თვითეულ ტრაქტორზე წლის განმავლობაში, ამბროლაურისას — 116 ჰექტარი, გაგრისას — 126 ჰექტარი, გორისას — 220, ზნაურისას — 179, მანგლისისას — 198 ჰექტარი.

რა არის ტრაქტორების დაბალი გამომუშავებისა და გაცდენის მიზეზი? უწინარეს ყოვლისა ის, რომ ბევრ მტს-ში ცუდად არის მოწყობილი მინდვრად აგრეგატების ტექნიკური მომსახურება. მტს-ებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ინჟინრები და მექანიკოსები ყოველთვის როდი უწევენ სატრაქტორო ბრიგადებს, საჭირო დახმარებას, სუსტად ადევნებენ თვალს მანქანებას ტექნიკური მოვლის გრაფიკის დაცვას.

მინდვრად მუშაობის დროს ტრაქტორების ტექნიკური მოვლა ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებს, განსაკუთრებით ცუდად არას მოწყობილი დიზელიანი ტრაქტორების ტექნიკური მოვლა. შრომის მოუწესრიგებლობის შედეგად არ ხდება ფართობების წინასწარ მომზადება სამუშაოდ, სატრაქტორო აგრეგატების მომარაგება წყლითა და საწვავით. დაბალია შრომის დისციპლინა, რის გამო ტრაქტორების აგრეგატზე მუშაობის დროს ცვლა შემთხვევით ხასიათს ატარებს და სწორედ ეს არის ტრაქტორისტების მიერ ცვლის გამომუშავების ნორმების შეუსრულებლობის მთავარი მიზეზი.

მოწინავე მტს-ების მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტრაქტორების რემონტის საუკეთესოდ მოწყობა, კარგი ტექნიკური მოვლა და შრომის სწორი ორგანიზაცია ტრაქტორების მაღალი გამომუშავების საფუძველია. ლაგოდეხის მანქანა-ტრაქტორთა სადგური ყოველწლიურად ადიდებს ყველა კულტურის მოსავლიანობას. შარშან ამ ზონის კოლმეურნეობებმა მიიღეს საშუალოდ ჰექტარზე 21,7 ცენტნერი თამბაქო ნაცვლად 17,5 ცენტნერისა. 15-ცხენისძალიანი ტრაქტორის გამომუშავება მტს-ში შეადგენს 475,4 ჰექტარს რბილ ხვნაზე გადაყვანით.

გასულ წელს კარგ მაჩვენებლებს მიაღწია წითლის მტს-მა, რომელმაც სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა შეასრულა 112,1 პროცენტით და პირობით ტრაქტორზე გამომუშავება 487 ჰექტარს შეადგენდა. ქუთაისის მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა გაანაღდა 130 პროცენტით და პირობით ტრაქტორზე გამომუშავება მოგვცა 471 ჰექტარი.

საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია სიმინდის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის მოყვანის სამუშაოთა მექანიზაცია. ცოტა რამ არის გაკეთებული ბოსტნეული კულტურების დამუშავება-მოყვანის საქმეში. წელს ჩვენმა მტს-ებმა პირველი ნაბიჯები გადადგეს მოსავლიანობის გადიდების ისეთი პროგრესული წესის დანერგვისათვის, როგორიც არის სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვა და რგვა. მაგრამ ამ საქმეში ყველაფერი რიგზე არ არის. მთელ რიგ მტს-ებში ამ შესანიშნავი წესის შეუფასებლობა გამოიჩინეს. ასეთ უსულგულო დამოკიდებულებას პროგრესული ღონისძიებებისადმი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

ჩაის, ციტრუსებს, ვენახს და ხეხილის ბაღებს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვანი ფართობი — 119 ათასი ჰექტარი უკავიათ. ამ კულტურების გაშენება-მოვლის სამუშაოები უაღრესად შრომატევადია. მიუხედავად ამისა, ამ სამუშაოთა მექანიზაციის დონე დაბალია. მცირე რაოდენობით წარმოებს ვენახებისა და ბაღების მწკრივთაშორის ღრმა ხვნა. დაბალია ჩაის, ციტრუსების, ვენახებისა და ბაღების მავნებლებთან ბრძოლის სამუშაოთა მექანიზაცია.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურები გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ ჩვენი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. ახლა, როცა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში შექმნილია მექანიზატორთა მუდმივი კადრები და მტს-ებში სამუშაოდ მოწვეული არიან ინჟინერ-სპეციალისტები, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ განუხრელად დიდდებოდეს შრომის ნაყოფიერება, თვითეული მანქანის წარმადობა. რესპუბლიკის მტს-ებში მუშაობს ყველა სპეციალობის 1.012 ინჟინერი, 2.000 აგრონომი, 748 ზოოტექნიკოსი, 221 ვეტექიმი და ათასობით კვალიფიციური მუდმივი მუშა. ეს დიდი ძალა უნარიანად უნდა იქნას გამოყენებული. მტს-ების მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა მთელი სიმძლავრით გამოიყენონ ტექნიკა, აღკვეთონ ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების გაცდენა, წუნი მუშაობაში, მიაღწიონ ცვლის გამომუშავების ნორმების შესრულებას, შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლებას.

მტს-ების სპეციალისტთა მოვალეობაა ყოველდღიური კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობას და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე მიაღწიონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები პასუხისმგებელი არიან არა მარტო ტექნიკის გამოყენების, სატრაქტორო სამუშაოთა შესრულებისა და კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების შესრულებისათვის, არამედ ისინი პასუხს აგებენ საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგისათვის, საერთოდ მათ მომსახურებაში მყოფი ყველა კოლმეურნეობის მდგომარეობისათვის, მათი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის. მანქანა-ტრაქტორთა სადგური არც მოიჯარეა, არც გამქირავებელი პუნქტი. იგი არის საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, რომელიც წარმართავს საკოლმეურნეო ეკონომიკის განვითარებას, უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობას შემდგომი აღმავლობის სახელმწიფო გეგმების შესრულებას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ განუზომლად გაფართოვდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მოვალეობანი.

მტს-ების მუშაკთა ღირსებისა და სახელის საქმეა შეუპოვრად იბრძოლონ მტს-ების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირუტყვის სულადობის ზრდისა და მასი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

მტს-ების მუშაკები ჩვენს სახელოვან კოლმეურნე გლეხობასთან ერთად მთელ ძალღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარენ იმას, რომ წარმატებით შესრულდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

ს. ვაჩეიშვილი,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.



## გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს სენის ივრში, პარიზის მუშათა გარეუბანში, გაიხსნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობა. ყრილობას ესწრება 960 დელეგატი, პარტიის სადეპარტამენტო ფედერაციების წარმომადგენლები. ყრილობას ესწრებიან სტუმრები — ინგლისის, ბელგიის, დანიის, დასავლეთ გერმანიის, ნორვეგიის, ავსტრიის, არგენტინის, შვეციის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები.

ყრილობის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. საანგარიშო მოხსენება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.
2. პარტიის ორგანიზაციული მუშაობის პრობლემები.
3. კომპარტია და ახალგაზრდობა.
4. ცენტრალური კომიტეტისა და საფინანსო კონტროლის კომისიის არჩევნები.

დელეგატებმა აირჩიეს ყრილობის პრეზიდიუმი, რომელშიც შედიან: მორის ტორეზი, ჟაკ დიუკლო, მარსელ კაშენი, ფრედერიკ ჟოლიო-კიური, ლორან კაზანოვა, ბენუა ფრაშონი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის მუშათა მოძრაობის სხვა თვალსაჩინო მოღვაწენი.

პოლიტიკური, საორგანიზაციო, ახალგაზრდობისა და სამანდატო კომისიების არჩევის შემდეგ მოხსენება დღის წესრიგის პირველ პუნქტზე გააკეთა ჟაკ დიუკლომ.

## ალბანეთის სახალხო კრების არჩევნების შედეგები

ტირანა, 4 ივნისი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა ალბანეთის სახალხო კრების არჩევნების შედეგების შესახებ. არჩევნები მოეწყო 30 მაისს.

ცნობაში ნათქვამია, რომ 702.476 რეგისტრირებულ ამომრჩეველთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 701.942 კაცმა, ანუ 99,92 პროცენტმა. დემოკრატიული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 700.983 ამომრჩეველმა, ანუ ხმის მიმცემთა 99,86 პროცენტმა. ამრიგად, დემოკრატიული ფრონტის 134-ვე კანდიდატი არჩეულია სახალხო კრების დეპუტატად.

გაზეთი „ზერი ი პოპულიტ" წერს, რომ არჩევნების შედეგები მოწმობენ „ხალხთა მონოლითურ ერთიანობას დემოკრატიულ ფრონტში, რომელსაც პარტია ხელმძღვანელობს". 30 მაისის არჩევნები, — აღნიშნავს გაზეთი, დემოკრატიული ფრონტის ბრწყინვალე გამარჯვებაა. იგი ცხადყოფს, რომ ხალხი სავსებით იწონებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელსაც შრომის პარტია და მთავრობა ახორციელებენ და რომელიც მთლიანად შეესაბამება ხალხის ინტერესებსა და მისწრაფებას და მიზნად ისახავს მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობების მუდმივ გაუმჯობესებას. 30 მაისს ალბანელმა ხალხმა ხმა მისცა აგრეთვე მშვიდობას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). კომუნისტმა დეპუტატმა მალრე-ჟუენვილმა, რომელიც გამოვიდა ეროვნული კრების გუშინდელ სხდომაზე, განაცხადა, რომ „ჟენევის თათბირი ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის დიდ იმედს იძლევა. მშვიდობა ხელმისაწვდომია, საჭიროა მისი მოპოვება. მაგრამ მთავრობა ახორციელებს მუქარისა და მანევრების პოლიტიკას, რაც ეწინააღმდეგება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. ფრანგ ხალხს ეზიზღება ეს „ბინძური ომი". ეროვნულმა კრებამ ბოლო უნდა მოუღოს მისი განგრძობის პოლიტიკას"...

ომის საქმეთა სტატს-მდივნის დე შევინიეს (სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტია) გამოსვლის შემდეგ, რომელიც შეიცავდა გამოხდომებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, სიტყვა მიეცა დეპუტატ ლუი ვალონს, რომელიც არც ერთ საპარლამენტო დაჯგუფებას არ ემხრობა. მან თქვა, რომ მთავრობის წრეები ინდოჩინეთის ომს იყენებენ როგორც „დოლარის წყაროს". აღნიშნა რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ყოველღონეს ხმარობს, რათა აიძულოს საფრანგეთი დაამტკიცოს ხელშეკრულება „ევროპის არმიის" შექმნის შესახებ, ვალონი შეეკითხა მთავრობის მეთაურს ლანიელს, ცდილობს თუ არა იგი პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციის ფასად მიაღწიოს ამერიკის შემდგომი „დახმარების" მიღებას. „მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, — განაცხადა მან, — უნდა უთხრას ეროვნულ კრებას, გამოიხატება თუ არა მთელი მისი პოლიტიკა იმით, რომ დაუკავშიროს საფრანგეთი ამერიკის სტრატეგიას შორეულ აღმოსავლეთსა და ევროპაში".

ამით დამთავრდა ინტერპელაციების ავტორთა გამოსვლები და ეროვნული კრება შეუდგა ინდოჩინეთში მთავრობის პოლიტიკის არსებითი განხილვას.

დეპუტატმა ესტებმა (ემხრობა „დამოუკიდებელ რესპუბლიკელებს") მოითხოვა, რომ მთავრობამ „საზოგადოებრივ აზრს უთხრას სიმართლე დიენ-ბიენ-ფუში მომხდარი დრამის შესახებ". „დამოუკიდებელმა რესპუბლიკელმა" ფრედემ განაცხადა, რომ საჭიროა „საექსპედიციო კორპუსის გადარჩენა", და აღნიშნა, რომ საქმე ეხება მოლაპარაკებას საფრანგეთის ინტერესების შესაბამისად. ფრედემ გაილაშქრა ინდოჩინეთში ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ.

ანდრე მონტეილმა (სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტია) თქვა, რომ საფრანგეთს საშუალება აქვს აწარმოოს ჟენევაში მოლაპარაკება.

ამით დამთავრდა ეროვნული კრების სხდომა. ინდოჩინეთის საკითხში ლანიელის მთავრობის პოლიტიკის შესახებ კამათი გაგრძელდება 8 ივნისს.

## მექსიკის კომპარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „ვოს დე მეხიკომ", რომელიც მექსიკოში გამოდის, გამოაქვეყნა მექსიკის კომპარტიის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ამ უარყოფითი ...

## საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 3 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ცხრა დელეგაციის დახურულ სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის შესახებ. შემდეგი დახურული სხდომა ამ საკითხზე გაიმართება 4 ივნისს.

## ჟენევის თათბირის გარშემო

ჟენევა, 3 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). არსებული ცნობების მიხედვით ცხრა დელეგაციის დღევანდელ სხდომაზე, რომელნიც განაგრძობდნენ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ მხარი დაუჭირა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პოზიციას ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის ორგანოებსა და ამ ორგანოების ფუნქციებზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის აზრით, შერეულმა ორგანოებმა და ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთა საერთაშორისო ორგანომ თავიანთი საქმიანობა პარალელურად უნდა განახორციელონ და არც ერთი მათგანი არ უნდა ემორჩილებოდეს მეორეს. საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისადმი კონტროლს უნდა ახორციელებდნენ შერეული კომისიები, რამდენადაც ამ კომისიებში წარმოდგენილია ორი მხარე, რომლებიც ამ შეთანხმებას დებენ და რომლებზეც, მაშასადამე, მთლიანად დამოკიდებულია მისი დაცვა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოს შეთანხმება მხარეებს შორის შეუძლებელი იყოს და თითქოს შერეულ კომისიებს არ შეეძლოთ მიუმართლედ იყვნენ დავაში, რომელიც წარმოებს ამ კომისიებში წარმოდგენილ ორ მხარეს შორის. ამასთან მან დაიმოწმა ორი მხარის შეთანხმება დიენ-ბიენ-ფუდან მძიმედ დაჭრილთა ევაკუაციის შესახებ. თუმცა ერთ-ერთმა მხარემ დაარღვია ეს შეთანხმება, მაგრამ საბოლოო ანგარიშით იგი შესრულდა, და მძიმედ დაჭრილთა ევაკუაცია მოხდა.

რაც შეეხება ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის აზრით, მას უნდა დაეკისროს მთავარი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ინდოჩინეთში აღარ შეიყვანონ ჯარები და არ შეზიდონ საომარი საჭურველი. ამასთან გათვალისწინებულია, რომ აიკრძალოს ახალი ჯარების შეყვანა და საჭურვლის შეტანა ინდოჩინეთის ყველა სახმელეთო საზღვრით, ყველა ნავსადგურითა და საზღვაო საზღვრით, აგრეთვე ჰაერით. ნეიტრალურ სახელმწიფოთა კომისიამ ლაოსსა და კამბოჯაში იგივე ფუნქციები უნდა შეასრულოს, რაც ვიეტნამში. წინააღმდეგ შემთხვევაში უცხო სახელმწიფოები და, უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატები, შეძლებენ საკუთარი სამხედრო ბაზები შექმნან ლაოსსა და კამბოჯაში და იქიდან საფრთხე შეუქმნან ვიეტნამს. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არასოდეს არ დათანხმდება ამაზე.

საფრანგეთის დელეგაციამ აღძრა საკითხი, თუ ვის წინაშე უნდა აგოს პასუხი თავისი მოქმედებისათვის გათვალისწინებულმა ნეიტრალური ქვეყნების კომისიამ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ აღნიშნა, რომ ამ კითხვის პასუხი ნათელია. იგი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ როგორც თვით საფრანგეთის დელეგაციამ მოითხოვა და რასაც თათბირის მონაწილენიც დაეთანხმნენ, ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულების გარანტიებს უნდა უზრუნველყოფდნენ ჟენევის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები. მაშასადამე, ნეიტრალური ქვეყნების კომისიამ პასუხი უნდა აგოს ჟენევის თათბირის მონაწილე ცხრა სახელმწიფოს — ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულების გარანტების წინაშე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუღებელია დღევანდელ სხდომაზე ბაო დაის წარმომადგენლის მიერ შემოტანილი წინადადება იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახორციელებდეს ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობათა შესრულების სამეთვალყურეო ნეიტრალური ორგანოს ფუნქციებს.

## ჟენევაში ერთმანეთს ხვდებიან ორი სარდლობის წარმომადგენლები

ჟენევა, 3 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). როგორც ცნობილი გახდა, 2 ივნისს აქ მოხდა ორი სარდლობის წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელთა დელეგაციას მეთაურობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ჟენევის თათბირზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წევრი ტა კუანგ ბიუ; საფრანგეთის სარდლობის დელეგაციას მეთაურობს ბრიგადის გენერალი დელტეი.

დღეს ორი სარდლობის აღნიშნული წარმომადგენლები თავიანთ მეორე სხდომაზე შეიკრიბნენ.

ორი სარდლობის წარმომადგენელთა ეს შეხვედრები ჟენევაში (ისევე როგორც ასეთივე შეხვედრები ადგილზე) გათვალისწინებული იყო შეთანხმებით, რომელიც მიღწეულ იქნა 29 მაისს ცხრა დელეგაციის სხდომაზე, რომლებიც განიხილავენ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხს.

## ხელი მოაწერეს ოქმს რუმინეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის საქონელგაცვლისა და გადასახდელების შესახებ

ბუქარესტი, 3 ივნისი. (საკდესი). 1954 წლის 1 ივნისს ბუქარესტში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის 1952-1955 წლების გრძელვადიანი შეთანხმების ფარგლებში ხელი მოაწერეს ოქმს 1954 წელს საქონელგაცვლისა და გადასახდელების შესახებ.

ამ ოქმის შესაბამისად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწოდებს მადანს, ნავთობს, ნავთობპროდუქტებს, მეტალურგიული მრეწველობის პროდუქციას, ქიმიკალიებს, კუსტარული მრეწველობის ნაწარმს და სხვა საქონელს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში შეიტანს ნედლეულს მსუბუქი მრეწველობისათვის, მოწყობილობას კვების, საფეიქრო და ქიმიური მრეწველობისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებსა და სათადარიგო ნაწილებს, ელექტროტექნიკურ და ოპტიკურ აპარატურას, ქიმიკალიებსა და ფართო მოხმარების სხვადასხვა საქონელს.

## გაიხსნა პირდაპირი სარკინიგზო მიმოსვლა ფხენიანი — პეკინი

ფხენიანი, 3 ივნისი. (საკდესი). დღეს შუადღის 12 საათზე ფხენიანის ვაგზლიდან გავიდა ფხენიან — პეკინის პირდაპირი მიმოსვლის პირველი მატარებელი. ფხენიან — პეკინის მატარებელი რეგულარულად ივლის კვირაში ორჯერ. ჩინეთის დედაქალაქში იგი ჩადის 34 საათში.

## „ევროპის არმიის" წინააღმდეგ

ვენა, 4 ივნისი. (საკდესი). ის გარემოება, რომ მემარჯვენე სოციალისტთა ლიდერები მხარს უჭერენ ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" შექმნის და ამერიკის სამხედრო ბაზად დასავლეთ ავსტრიის გადაქცევის ამერიკულ გეგმებს, უკმაყოფილებას იწვევს ავსტრიის სოციალისტური პარტიის რიგით წევრებში. ავსტრიის სოციალისტური პარტიის რაიონულ კონფერენციებსა და ადგილობრივი ორგანიზაციების კრებებზე, რაც ამას წინათ დამთავრდა, პარტიის ბევრმა წევრმა მკვეთრად გააკრიტიკა ავსტრიის სოციალისტური პარტიის ლიდერთა პროამერიკული პოზიცია „ევროპის არმიის" შექმნის საკითხში. მაგალითად, სოციალისტური პარტიის ბრეგენცის (ფორარლბერგი) ორგანიზაცია წავიდა იმის წინააღმდეგ, რომ ავსტრიის არმია შეიქმნას ყოფილ ჰიტლერულ ოფიცერთა სარდლობით. ამ ორგანიზაციის წევრებმა ერთსულოვნად მოითხოვეს, რომ ავსტრია გამოვიდეს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციიდან და დაწესებულებიდან, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ომის მომზადებას.

მაგალითად, კერძო საწარმოების მოსამსახურეთა პროფკავშირის მდივანმა იოზეფ ჰინდელსმა განაცხადა: „განა ეს სირცხვილი არ არის, რომ ყველა ომთაგან უსაშინელესი ომის რვა წლის შემდეგ ავსტრიის ტერიტორიაზე სავსებით აშკარად და ურცხვად წარმოებს ნაცისტური და მილიტარისტული პროპაგანდა? მოგიწოდებთ, თქვა ჰინდელსმა, — მტკიცე ბრძოლა გამოვაცხადოთ ფაშიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ"...

ლივნცის (ტიროლი) პროფკავშირული ორგანიზაციის მდივანმა რენახერმა ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების ტიროლის ორგანიზაციის ყრილობაზე განაცხადა: „ახლა ბევრს ლაპარაკობენ ახალი ვერმახტის შექმნაზე. მაგრამ ჩვენ აღარ გვინდა ვიყოთ ჯარისკაცები. ახალი ვერმახტისათვის გათვალისწინებული სახსრები გამოყენებულ უნდა იქნას მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად".

## საგაფიცვო მოძრაობა უცხოეთში

ნიუ-იორკი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ჰონდურასში გრძელდება ამერიკის კომპანიის „იუნაიტედ ფრუტ კომპანის" ბანანის პლანტაციების 25 ათასი მუშის გაფიცვა, რომელიც 30 აპრილს დაიწყო.

რომი. გაზეთი „უნიტა" იუწყება, რომ იტალიაში მიმდინარეობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომელთა გაფიცვები. გაფიცულნი იბრძვიან ხელფასის მომატებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

გაფიცვები, კერძოდ, გაიმართა მოდენის მე-... მაში, მოდენაში, ვენეციაში, ვიჩენცაში, ვერონაში, მანტუაში, რავენაში, კრემონასა და მილანში — გაიმართა მოჯამაგირეთა გაფიცვები. ფერარისა და პადუის პროვინციებში მოჯამაგირეთა 4 დღის გაფიცვის შედეგად მემამულეები იძულებული იყვნენ დაეთმოთ, დათანხმებულიყვნენ მოჯამაგირეებისათვის ხელფასის გადიდებაზე.

მონტევიდეო. 1 ივნისს ურუგვაის მეტალურგიული მრეწველობის მუშებმა მოაწყეს გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათასობით კაცმა. გაფიცვა მიმდინარეობდა ხელფასის მომატებისათვის, მშვიდობისათვის და სიძვირის ...



ამ დღეებში გორში იყვნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდა კალათბურთელები, რომლებიც საბჭოთა კავშირში წვრთნას გადიან. კალათბურთელებმა დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, იყვნენ გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, გაეცნენ სტუდენტთა სწავლასა და ყოფა-ცხოვრებას. სურათზე: ჩინელ კალათბურთელთა ერთი ჯგუფი ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში.

ფოტო შ. კუკულავასი.

## გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დიდი გამოცოცხლებაა. დაიწყო სტუდენტთა ცხოვრებაში მეტად პასუხსაგები ეტაპი — საზაფხულო საგამოცდო სესია.

გასულ წელთან შედარებით წელს სესიისათვის მზადებაში მეტი ორგანიზებულობა იგრძნობა. სესიისათვის თანაბარი პასუხისმგებლობით მოემზადნენ როგორც სტუდენტები, ისე უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები, პროფესორ-მასწავლებლები, მთელი პედაგოგიური პერსონალი, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. პედაგოგთა შესანიშნავი არმია დიდ ღონისძიებებს ახორციელებს იმისათვის, რომ სტუდენტები შეაიარაღოს მარქსისტულ-ლენინური თეორიით, მეცნიერებათა საფუძვლების ღრმა ცოდნით. სესიის დადგომამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიწყო და სისტემატურად მიმდინარეობს კონსულტაციები, სტუდენტთა განკარგულებაშია მდიდარი ბიბლიოთეკები, ყველა აუცილებელი ხელსაწყო-იარაღებით მომარაგებული ლაბორატორიები, კაბინეტები.

წარმატებით მიმდინარეობს გამოცდები სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე გამოცდების ჩასაბარებლად დაშვებულია 5.000 სტუდენტი. აქედან სახელმწიფო გამოცდებს აბარებს 1.000-ზე მეტი ახალგაზრდა. წლევანდელი სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შედეგად ჩვენი ქვეყანა მიიღებს 38 სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდა სპეციალისტებს — ლიტერატორებს, ისტორიკოსებს, მათემატიკოსებს, ბიოლოგებს, გეოლოგებს და სხვ.

სტუდენტთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი კარგად მოემზადნენ გამოცდებისათვის. დიდი უმრავლესობა მაღალ შეფასებას იმსახურებს. ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტების სტუდენტებმა უკვე დაამთავრეს გამოცდები და ამჟამად გამოცდილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით პრაქტიკაზე მიემგზავრებიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

* * *

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 13 ფაკულტეტზე გამოცდებს აბარებს 2.000 სტუდენტი. ინსტიტუტი ივნისის სესიების დამთავრების შედეგად გამოუშვებს 200-მდე ახალგაზრდა სპეციალისტს, მათ შორის ინჟინერ-მექანიზატორებს, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსებს, ინჟინერ-ტექნოლოგებს, სატყეო მეურნეობის ინჟინრებს და სხვ. თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი სამუშაოდ მიდიან როგორც ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში, ისე რესპუბლიკის გარეთ.

* * *

ორგანიზებულად დაიწყო გამოცდები პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. წელს ამ ინსტიტუტში საზაფხულო სესიაზე გამოცდებს აბარებს 1.643 სტუდენტი. სესიებზე გადიან მხოლოდ პირველი სამი კურსის სტუდენტები. მეოთხეკურსელები კი სახელმწიფო გამოცდებს აბარებენ.

საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების პირველ-მესამე კურსის სტუდენტებმა მაისშივე დაამთავრეს გამოცდები, რადგან საველე პრაქტიკაზე მიემგზავრებიან. ისტორიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები წარმატებით აბარებენ გამოცდებს. პირველი კურსის 22 სტუდენტმა ყველა საგანში მიიღო შეფასება „ხუთი". საშუალო საუკუნეების ისტორიაში მეორე კურსის 31 სტუდენტიდან შეფასება „ხუთი" მიიღო 17-მა.

კარგად აბარებენ გამოცდებს რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტები.

წელს თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი სამშობლოს მისცემს 300-ზე მეტ კურსდამთავრებულს.

## ფეხბურთი

### მეორე წრის კალენდარი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაამტკიცა ფეხბურთში საბჭოთა კავშირის წლის პირველობის გათამაშების მეორე წრის კალენდარი.

ჩემპიონატის მეორე ნახევრის შეხვედრები დაიწყება 7 ივნისს. ამ დღეს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო", რომლებმაც თხუთმეტ-თხუთმეტი ქულით დაამთავრეს პირველი წრე.

თბილისის დინამოელები მორიგ ასპარეზობას გამართავენ 25 და 29 ივნისს, 3, 6, 13, 19, 23 და 29 ივლისს, 12 აგვისტოს, 1 და 10 სექტემბერს.

25 და 29 ივნისს თბილისის „დინამო" მოსკოვში შეხვდება დედაქალაქის „ლოკომოტივსა" და „დინამოს", 3 და 6 ივლისს თბილისში — ლენინგრადის „შრომით რეზერვებს" და გორკის „ტორპედოს", 13, 19, 23 და 29 ივლისს კუიბიშევში, მოსკოვსა და მინსკში — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს", ცდსა-ს, მოსკოვის „ტორპედოსა" და მინსკის „სპარტაკს", 12 აგვისტოს, 1 და 10 სექტემბერს თბილისში — კიევის „დინამოს", ხარკოვის „ლოკომოტივს" და ლენინგრადის „ზენიტს".

## ხელოვნების ამბები

### ლვოვის თეატრი სტუმრად ქარხანაში

თბილისის ... ქარხნის ... მოაწყეს კოლექტიური დასწრება საგასტროლოდ ჩამოსული ლვოვის უკრაინული დრამატული თეატრის სპექტაკლზე — „ტარას ბულბაზე" და თეატრის კოლექტივი მიიწვიეს ქარხანაში.

გუშინ, 4 ივნისს, შესვენების დროს ქარხნის კლუბში სტუმრების შესახვედრად თავი მოიყარეს საწარმოს მუშაკებმა.

ლვოვის თეატრის კოლექტივის სახელით თეატრის დირექტორმა ზ. სმოკტიმ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის და მოუთხრო თავისი თეატრის შესახებ. სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ბ. რომანიცკიმ და ქარხნის კონსტრუქტორმა გ. ბეშკურენკომ.

მხატვრულ განყოფილებაში ლვოვის თეატრის მსახიობების მიერ საკონცერტო შესრულებით წარმოდგენილ იქნა ა. კორნეიჩუკის პიესის „ძახველის ჭალის" პირველი მოქმედება, შეასრულეს უკრაინული ხალხური სიმღერები.

შეხვედრამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. სტუმრებს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

### მომავალ მსახიობთა სპექტაკლი

საქართველოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის მეოთხე კურსმა (ხელმძღვანელი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი ა. ხორავა) სადიპლომო სპექტაკლად მოამზადა და მაყურებელს უჩვენა ა. კორნეიჩუკის პიესა „მაკარ დუბრავა".

სპექტაკლში მონაწილეობდნენ სტუდენტები: ი. უჩანეიშვილი, ო. ხაჩატუროვა, ზ. ზალდასტანიშვილი, ნ. ჩაჩანიძე, ო. მეღვინეთუხუცესი, ც. ქიტიაშვილი, მ. ბებურიშვილი, ნ. მგალობლიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, ე. ახალკაციშვილი, ვ. ელოშვილი, ვ. ზერმანი, გ. მდინარაძე, მ. არაბული, სამსახიობო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი ზ. კახიანი, მეორე კურსის სტუდენტი თ. ელბაქიძე, სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი ლ. ვარსიმაშვილი.

### თემატიკური საღამო-კონცერტი

1954 წლის 6 ივნისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და ვანო სარაჯიშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორია კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 8) აწყობენ დიდი რუსი კომპოზიტორის მ. ი. გლინკას დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

შესავალ სიტყვას წარმოთქვამს პროფესორი ი. ი. ტუსკია. ლექციას თემაზე „მ. ი. გლინკა — რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი" წაიკითხავს საზოგადოების ნამდვილი წევრი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. გ. ბეგიჯანოვი.

დასასრულ გაიმართება დიდი კონცერტი.

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულთან (ჯაფარიძის ქ. № 4), საღამო-კონცერტის დღეს საკონცერტო დარბაზის სალაროში.

### შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი" გერმანულ ენაზე

პოეტმა ჰუგო ჰუპერტმა გერმანულ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი". მას ცალკე წიგნად გამოსცემს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამომცემლობა „რიუტენ უნდ ლენინგ".

5 ივნისს საღამოს 8 საათზე უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გაიმართება თარგმანის განხილვა.

(საქდესი).

რედაქტორის მოადგილე
 რ. ქურციკიძე.

მოქალაქე თინა ალექსანდრეს ასულმა კანდელაკმა, მცხოვრებმა „პრავდის" ქ. № 43, აღძრა საქმე 9 იანვრის ქ. № 28 მცხოვრებ მოქალაქე ვახილ ნიკოლოზის-ძე კანდელაკთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ...